№9-10 (7022-23) 5 ივნისი,
ხუთშაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

მთავარი თემა– არჩევნები

დიდი ისტორიული მისიის მქონე ფაქტი

დამოუკიდებლობის დღე

1918 წლის 26 მაისს ჩვენმა ღირსეულმა წინაპრებმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველოს ცაზე, ვითარცა ცხოველმყოფელი მზე, გამობრწყინდა თავისუფლება, ქართველი ერი კვლავ დიდებით აღსდგა და მთელი ძალღონით სახელმწიფოს აღმშენებლობასშეუდგა.

მოკლე ქრონოლოგია:

1917 წლის თებერვალ–მარტის რევოლუციის შედეგად დაიწყო რუსეთის იმპერიის ნგრევა. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმპერიაში მცხოვრები ერების ეროვნული თავისუფლებისათვის.

...1917 წლის აპრილში ჩამოყალიბდა „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). საბჭო იყო პირველი პოლიტიკური გაერთიანება, სადაც ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და საქართველოს ბედზე მსჯელობა საჯაროდ დაიწყეს, რასაც 1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეული ყრილობის მიერ ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით ეროვნული საბჭოს არჩევა მოჰყვა. საბჭოში შედიოდნენ: ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გიორგი ლასხიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, მემედ-ბეგ აბაშიძე(აჭარის წარმომადგენელი), რაფიელ ივანიცი (საინგილოს წარმომადგენელი) და სხვა. ეროვნული საბჭო გახდა ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იყო ელაპარაკა ქართველი ხალხის სახელით.

რუსეთში მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის პირობებში ბოლშევიკთა ლიდერმა ვლადიმერ ლენინმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ბრესტ–ლიტოვსკში სეპარატიული ზავი დადო, რითაც საბჭოთა წყობილებას გადარჩენის შანსი მისცა.

1918 წლის 3 მარტს, ბრესტ– ლიტოვსკის მოლაპარაკების შემდეგ, თურქეთმა მიიღო ბათუმის ყარსისა და არტაანის ოლქები.

...თურქეთის შემკავებელი არანაირი ძალა არ არსებობდა. რუსეთი თავისი პრობლემებით იყო დაკავებული. 15–21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი, თითქმის ბორჯომამდე მიაღწიეს. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

...ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკებებს აკაკი ჩხენკელი აწარმოებდა, მან დაარწმუნა ეროვნული საბჭო, რომ თურქეთის აგრესიისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაა. 1918 წლის 22მაისს ბათუმიდან საქართველოს ერონული საბჭოსადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი წერდა: „ურისკოდ არაფერი არ კეთდება, სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა.“

1918 წლის 26 მაისს, 3 საათზე სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დღის 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა საქართველოს ერონული საბჭოს სხდომა. ეროვნულ საბჭოს ნოე ჟორდანიამ გააცნო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომლის თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა .

ხშირად ისმევა კითხვა, რა იყო ეს მოვლენა, ვითარებით გამოწვეული აუცილებლობა, თუ პოლიტიკურ ძალთა მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმა?

რაც ყველაზე მთავარია, მიუხედავად ყველაფრისა, ამ მოვლენამ თავისი ისტორიული მისია შეასრულა–ქართველი ხალხის 117 წლიანი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმატებით დასრულდა, საქართველომ მრავალსაუკუნოვანი ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და ეპოქის შესაბამისი დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა. ხალხმა იგრძნო თავისუფლების გემო. დამოუკიდებლობის წლებმა მოგვცა. პირველი ქართული კონსტიტუცია. ქვეყანამ გაითვალისწინა მაშინ დაშვებული შეცდომები. ამ მოვლენის ღირსეული გაგრძელება 9 აპრილი იყო, რომელმაც ისევ და იმედია, საბოლოოდ გამოგვაღვიძა და მთავარ ღირებულებებზე დაგვაფიქრა.

...რომ არა 9 აპრილი, ალბათ, კიდევ დიდხანს არ შევიდოდა 26 მაისის თარიღი სასწავლო სახელმძღვანელოში. მე ხომ იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც შეგნებულად უმალავდნენ ამ მოვლენის არსებობას. სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც ეს თარიღი ტაბუდადებული იყო.

ბედნიერი ვარ, ამ თარიღს დღევანდელ საქართველოში ასეთი გრანდიოზულობით რომ აღნიშნავენ, ასე ხმამაღლა რომ ვქადაგებთ ისეთ მთვარ ღირებულებაზე, როგორიცაა თავისუფლება.

ჩვენ გვჭირდება თვისუფლება. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია აზროვნება და რაიმე ღირებულის შექმნა... ამ ფასეულობის რეალურად არსებობა არის გზა ევროპისკენ, გზა ხსნისა, რომელიც იავარდით მოფენილი არ არის.

არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ისტორიული ფაქტები: მანიფესტი რომ გამოსცეს მეფობის გაუქმებაზე, ასპინძასთან რომ მიგვატოვეს, თებერვალმაც წითელი ჭყაპით რომ დაგვასველა. ვფიქრობ, ისტორიის სწავლების დანიშნულებაზე, რომ ისტორია არ არის ფაქტების და მოვლენების აღნუსხვა, მაგრამ მისი დანიშნულებაა მათი გაანალიზების შედეგად დასკვნების გამოტანა და გამოყენება. არადა, საუბედუროდ, უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს ისტორიიდან, რამაც აქამდე თუ არა, ჭკუა აწი მაინც უნდა გვასწავლოს. ისტორიული გამოცდილება კი ის გზაა, რომელმაც თავისუფლების ტაძრამდე უნდა მიგვიყვანოს. თავისუფლების გზაზე კი ძალინ ბევრი რამის გათვალისწინება მოგვიწევს. ექვთიმე თაყაიშვილის შეგონებით მინდა დავასრულო: „ჩვენისთანა პატარა ერისთვის კიდევ უფრო საჭიროა შეკავშირება ყოველგვარ საქმეში, ვიდრე მრავალრიცხოვანი ერისათვის. ჩვენი დრო პატარა ერების ყოფნა არ ყოფნის დრო არის, ამიტომ ჩვენ გვმართებს მჭიდროდ შეკავშირება და სიფხიზლე, რომ საქვეყნო ქარტეხილმა არ აღვგავოს ძირიანად... საქართველო იმდენად მტერს არ დაუქცევია, რამდენადაც შინაურმა დაქსაქსულობამ დააქცია. ეს ისტორიული სენი ეხლაც თან გვახლავს, მაგრამ სხვარიგად იჩენს თავს. ეს არის ჩვენი ერთმანეთის გაუტანლობა, სხვადასხვა პარტიების და ჯგუფების სასტიკი ბრძოლა, გაუთავებელი ლანძღვა- გინება, პოლემიკაში, ერთი მეორის პირადობის დამცირება, თუ ჩვენ მთავარ საკითხებში ვერ შევთანმდით, ვერც რაიმეს თვალსაჩინოს გავაკეთებთ“.

მედეა ვარდია,
ქ. ხობის №2 საჯარო სკოლა, ისტორიკოსი.

ღვთისმშობლის ხატი პირველი მაისის მონასტერში დააბრძანეს

საქართველოს ჯათოლიკოს პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 15 მაისს ფოთისა და ხობის ეპარქიაში პირველ მაისის სამონასტრო კომპლექსისათვის პატრიარქის ესკიზით შექმნილი დედა ღვთისმშობლის წმინდა ხატი ჩამოაბრძანეს, რომელიც ეპარქიის სხვადასხვა ტაძარში იქნა მიბრძანებული, ხოლო 28 მაისს პირველი მაისის ყოვლადწმინდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმინდა დიდმოწამე გიორგის, წმინდა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედის ნიკოლოზის სახელობის ტაძრის დღესასწაულზე მონასტერში დააბრძანეს. წირვას ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ლოცვის შემდეგ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა დამოძღვრა მრევლი და ღვთისმშობლის ხატს შეავედრა ერი.

საკრებულოს სხდომა

19 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოხელეები. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სხდომაზე პირველ საკითხად განხილულიქნა „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქ. 189-ში მდებარე შენობის 3 კვმ იჯარის წესით, ბანკომატის განსათავსებლად გადაეცა სს „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალს.

ფოთისა და ხობის ეპარქიის მოთხოვნის საფუძველზე, შავღელის ტერიტორიაზე ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით, ეპარქიას ეკლესიის ასაშენებლად გადაეცა. საკრებულოს გადაწყვეტილებით ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემში მცხოვრებ ლილუშა ბერაიას საცხოვრებელი სახლის ტერიტორია გამოცხადდა არაკეთილსაიმედო პუნქტად, ცოფით მსხვილფეხა პირუტყვის დასნებოვნების გამო და ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურებს დაევალათ შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სხდომაზე დეპუტატებმა შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ საწესდებო კაპიტალში შეიტანეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული წყლის შადრევნები, ე.წ. სოკო. ამავე სხდომაზე ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სარგებლობის უფლებით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი მასზე მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ევროპაში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელი რეკორდულია

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ამ მიმართულებით მაჩვენებელმა 72% შეადგინა, რაც არასდროს არ დაფიქსირებულა. მისივე თქმით, ეკონომიკის ზრდის ტენდენცია მიმდინარე წელსაც გრძელდება.

პრემიერმა ასევე მთავრობის მიერ დაგეგმილ პროექტებზე დეტალურად ისაუბრა და ყურადღება ძირითადად 1 ივნისიდან ამოქმედებულ პროექტზე–„აწარმოე საქართველოში“ გაამახვილა.

„ჩვენ დავიწყეთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები. ეს ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად დამუშავებული ახალი პროექტია, რომელიც ჩემი ინიციატივით იწყება, „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის, ეკონომიკისთვის და რაც მთავარია, მოსახლეობისთვის ძალიან საინტერესო და სასარგებლო იქნება. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო რას გულისხმობს აღნიშნული პროექტი. ჩვენ პირველ ეტაპზე შევარჩიეთ 100 გაჩერებული საწარმო და არცერთი რეგიონი არ დავტოვეთ. ჩვენი მიზანია, რომ ის ტრადიციული გაჩერებული წარმოება აღვადგინოთ თითოეულ რაიონში და რეგიონში. რის შემდეგაც ჩვენი საბოლოო მიზანია, რომ ყველა სოფელმა საკუთარი, თითო პროდუქტი შექმნას. ეს შედარებით გრძელვადიანი ამოცანაა, მაგრამ ამის მისაღწევად ყველაფერს ვაკეთებთ. რაც მთავარია, ვმუშაობთ გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად. 1 ივნისს დაიწყო ეს პროექტი და ჩვენ გვაქვს შეთანხმება ბანკებთან. ისინი მზად არიან საწარმოების განვითარების პროექტები დააფინანსონ, საპროცენტო განაკვეთის ძალიან დიდ ნაწილს, ანუ 10%-ს მთავრობა დააფინანსებს და რეალურად მეწარმეს 1%-ის, მაქსიმუმ 3%-ის გადახდა მოუწევს, იმისდა მიხედვით თუ რა რაოდენობის სესხს აიღებს ბანკიდან. ჩვენ პირდაპირ წავახალისეთ ე.წ. „სტარტაპები“, მცირე და საშუალო მეწარმეები. ამ მიზნით ჩვენ შესაბამისი სააგენტო შევქმენით ეკონომიკის სამინისტროში“,–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, მნიშვნელოვანი ზრდაა, რუსეთის ბაზარზე ექსპორტის მხრივაც.

დაიჯესტი

„ხელისუფლება მიზანმიმართულად მოქმედებს ქვეყანაში დასაქმების პრობლემის დასაძლევად“

ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ პროექტი „აწარმოე საქართველოში“ ყოველწლიურად 46 მლნ ლარით დაფინანსდება და საქართველოს მოსახლეობას აქტიურობისკენ მოუწოდა.

პროექტი „აწარმოე საქართველოში“ მნიშვნელოვანია, რომ მოვახერხოთ საქართველოს ეკონომიკის განვითარება, მოვახერხოთ იმ მთავარი პრობლემის მოგვარება, რომელიც დღეს არის საქართველოში დასაქმების მიმართულებით. მინდა მოვუწოდო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას რაიონებში, ქალაქებში, გააქტიურდნენ, რადგან ყოველწლიურად იქნება ამ პროექტის განვითარებისთვის გამოყოფილი 46 მლნ ლარი, რათა საქართველოში განხორციელდეს პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, რომ შევძლოთ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. ხელისუფლება ყველაფერს მიზანმიმართულად აკეთებს, რომ ქვეყანაში დასაქმების პრობლემა მოგვარდეს“,- განაცხადა კახი კალაძემ „რუსთავი 2“-ის ეთერში.

დავით უსუფაშვილი– მსოფლიო უნდა იყოს პრინციპული, მაგრამ ფრთხილი

დარწმუნებული ვარ, ნატოს სამიტზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იქნება ყველაზე უფრო სასარგებლო. ასე ეხმაურება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხზე გერმანიის კანცლერის მიერ გაკეთებულ განცხადებას.

უსუფაშვილის თქმით, მსოფლიო უნდა იყოს პრინციპული, მაგრამ ფრთხილი საკუთარ ნაბიჯებში. „ნატოს მომავალ სამიტზე მიღებულიქნება საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილება. ამაში დარწმუნებული ვარ, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოსადმი ინტერესი, დამოკიდებულება, ყურადღება უპრეცედენტოდ გაზრდილია. პირველ რიგში, იმ სახელმწიფოებში, რომლებიც წინა წლებში ჩვენთან ამ სფეროში თანამშრომლობაზე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი. ამაზე მეტყველებდა საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი. ამაზე მეტყველებს ბოლო ერთ კვირაში საქართველოს პრემიერის ორი ვიზიტი ბერლინში და შეხვედრა კანცლერ მერკელთან. ეს სახელმწიფოები იჩენენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და დაინტერესებას საქართველოს უსაფრთხოების მიმართ. დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილება იქნება საქართველოსთვის ყველაზე უფრო სასარგებლო. ამ შემთხვევაში ამაზე უნდა ვიფიქროთ ჩვენ და არა კონკრეტულ ტერმინებზე და მექანიზმებზე. ძალიან რთული და დაძაბული ვითარებაა მსოფლიოში და რეგიონში. მსოფლიო უნდა იყოს პრინციპული, მაგრამ ფრთხილი თავის ნაბიჯებში იმისთვის, რომ კეთილი განზრახვით გადადგმულმა ნაბიჯმა საპირისპირო შედეგი არ გამოიწვიოს. საქმე გვაქვს არც თუ პროგნოზირებად ან შეიძლება სხვაგვარად ითქვას–ძალიან პროგნოზირებად ხიფათთან, რომელიც კონკრეტული სახელმწიფოსგან მომდინარეობს. დარწმუნებული ვარ, ნატოს წევრი ქვეყნები, საქართველოს მთავრობასთან ერთად ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე მივლენ სექტემბრის სამიტამდე. ეს პროცესი მიმდინარეობს იმაზე უკეთ, ვიდრე შეგვეძლო წარმოგვედგინა“,–განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ.

ანდერს ფოგ რასმუსენი–საქართველო ნატოს წევრი გახდება, როგორც კი წევრობისთვის საჭირო კრიტერიუმები შესრულდება

მინდა მკაფიოდ განვაცხადო, რომ ჩვენ დავიცავთ ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, როგორც კი წევრობისთვის საჭირო კრიტერიუმები შესრულდება. დარწმუნებული ვარ, რომ ნატო-ს მომდევნო სამიტზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი აღიარებული იქნება. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბრიუსელში, საქართველო-ნატო-ს კომისიის სხდომის გახსნისას განაცხადა.

მისივე თქმით, ნატო გააგრძელებს საქართველოსთან აქტიურ დიალოგს და საქართველოს შემდგომი რეფორმების გატარების მხარდაჭერას.

ამასთან, როგორც ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, ნატო-ს წევრი ქვეყნები არ აღიარებენ და არც მომავალში აღიარებენ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლად ცნობას ისევე, როგორც ყირიმის ანექსიას.

„ნატო-ს წევრი ქვეყნები არ აღიარებენ და არც მომავალში აღიარებენ რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიას. ისევე როგორც ჩვენ არ ვაღიარებთ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების– სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარებას. ნატო იცავს თითოეული ქვეყნის უფლებას, ჰქონდეს სუვერენული არჩევანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით. დღეს ჩვენ ვაგრძელებთ აქტიურ დიალოგს საქართველოსთან, რომელთანაც მივაღწიეთ კარგ პროგრესს, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის მეტი გამჭვირვალობითა და პასუხისმგებლობით. ჩვენ ასევე ინტერესით ველით რეფორმების შემდგომ განხორციელებას და გავაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას ამ პროცესში“,–განაცხადა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის გახსნისას ანდერს ფოგ რასმუსენმა.

ირაკლი ალასანია–ნატოს და თავად აშშ-ს პრეზიდენტის შემოთავაზებებით, ქვეყანა უფრო დაცული იქნება

შემოთავაზებებით, რომელიც ნატო-ს და თავად აშშ-ს პრეზიდენტს აქვს, ქვეყანა უფრო დაცული იქნება,–ასე ეხმაურება თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის სამხედრო მხარდაჭერის გაძლიერებას გულისხმობს.

ალასანიას განმარტებით, საუბარია კონკრეტულად საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების და თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

„ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის შემდეგ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია–სამიტის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა, იმ შემოთავაზებებით, რომელიც აქვს ნატო-ს და თავად აშშ-ს პრეზიდენტ ობამას, უფრო დაცული იქნება. აქ საუბარია კონკრეტულად საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების და თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებაზე. როგორც იქნება ასახული ჩვენი პროგრესი სამიტის დეკლარაციაში, ამის პარალელურად გაძლიერებული იქნება ჩვენი თავდაცვისუნარიანობა. ჩემი აზრით, ეს იქნება ისტორიული მომენტი ჩვენი ქვეყნის ურთიერთობაში ნატო-სთან, რომ დეკლარაციული ხასიათის განცხადებებიდან მეტი აქცენტი გადავა კონკრეტულად საქართველოში, ჩვენს ტერიტორიაზე თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი საზოგადოებისათვის და ჩვენი ჯარისთვის, რომელიც პრაქტიკულად სრულად თავსებადია ნატოსთან, რაც აღნიშნა ყველა გამომსვლელმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე. რაც მნიშვნელოვანია, ჩვენ გვექნება შემაკავებლი ფუნქცია“,–აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

არჩევნების წინ

გოჩა ქაჯაია დაიბადა 1964 წლის 28 თებერვალს ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში. სწავლა დაიწყო საჯიჯაოს საშუალო სკოლაში. მეშვიდე კლასიდან გადავიდა ქ. თბილისში და დაამთავრა თბილისის №100 საშუალო სკოლა.

1982-1988 წლებში სწავლობდა რუსეთში, ქალაქ კალინინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტია.

აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში;

90-იანი წლების დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო გოჩა ქაჯაია იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო.

2002 წლამდე დაკავებული იყო რუსეთში კერძო ბიზნესით.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობა მიიღო 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში და გაიმარჯვა. 2006 წლამდე მუშაობდა სოფელ საჯიჯაოს საკრებულოს თავმჯდომარედ.

2006-2012 წლებში იყო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2013 წელს გახდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე.

2013 წლის აგვისტოდან ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შეფასების ამომრჩეველი გააკეთებს

ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის, ბატონ მურმან ქაჯაიას ოჯახის წარმომადგენელს წარდგენა არ სჭირდება, ამ ოჯახმა საკუთარი ნიშა წლების წინ დაიმკვიდრა მუნიციპალიტეტის ისტორიაში. როგორ გაიხსენებთ თქვენს ძმასთან, ბატონ თენგიზ ქაჯაიასთან ერთად გამოვლილ პოლიტიკური ბრძოლის დღეებს. ის, რაც არ გითქვამთ აქამდე.

–გავიზარდეთ უბრალო და პატიოსანი ადამიანების ხელში–მამა აგრონომი იყო, დედა–დიასახლისი. მათ ურთიერთპატივისცემის გარემოცვაში გაგვზარდეს. ისინი იყვნენ საოცრად მშრომელები, სამართლიანები და კეთილი ადამიანები. მათ ჩაგვინერგეს სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული. სწორედ ეს იყო საფუძველი ჩვენი აქტივობისა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში.

მუნიციპალიტეტის ისტორიაში ჩემი ძმის სახელი არამარტო მისი პირველ პრეფექტად ყოფნის გამო დარჩა, არამედ ჩვენს ოჯახს, რაიონის მთელმა საზოგადოებამ, მისი გმირულად დაღუპვის გამო არნახულად უთანაგრძნო. ეს მხოლოდ ჩვენი ოჯახის ტრაგედია არ იყო, ეს იყო ქვეყნისთვის მტკივნეული, მაგრამ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე არსებული ბარიერის გადალახვის პერიოდი. ამ ტრაგედიის გამო ბატონი ზვიად გამსახურდია ეწვია ხობის რაიონს და თენგო ქაჯაიას ოჯახს მიაგო პატივი, ხალხს ერთიანობისკენ მოუწოდა. ჩემი ძმის საფლავის ქვას მაშინდელი წარწერა ამშვენებს –„უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული, სასუფეველში შეხვალ იცოდე."

იყო თუ არა თქვენი მიზანი პოლიტიკოსობა, თუ რაიმე შემთხვევამ განაპირობა იგი. ფიქრობთ რომ თქვენი არჩევანი სწორი გამოდგა, რატომ?

–ჩემი მიზანი პოლიტიკოსობა არ ყოფილა. იგი ქვეყანაში და ჩემს ირგვლივ არსებულმა გარემოებებმა გამოიწვია. ჯერ კიდევ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობამდე კერძო ბიზნესს ვეწეოდი და მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავით. 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში ჩემმა სოფელმა ნდობა გამომიცხადა და საკრებულოს თავმჯდომარედ ამირჩია. მას შემდეგ მუდმივად ვგრძნობ მათ მხარდაჭერას და მათ წინაშე პასუხისმგებლობასაც. როდესაც განვლილ პერიოდს თვალს ვავლებ, ვრწმუნდები, რომ არჩევანი სწორი გამოდგა–წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისთვის გარკვეული წვლილი მიმიძღვის.

როგორ მიგაჩნიათ, მუნიციპალიტეტის გამგებელი კარგი მეურნე, მენეჯერი უნდა იყოს თუ იგი პოლიტიკური თანამდებობაა?

–ახალი კანონმდებლობით, რომელიც არჩევნების შემდგომ ამოქმედდება, გამგებელი მუნიციპალიტეტში თანამდებობრივად პირველ პირად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ იგი პოლიტიკური თანამდებობის პირია, მისი მთავარი და უმთავრესი ფუნქცია მუნიციპალიტეტის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ზრუნვაა, იგი თავის უფლება-მოსილებებს ახორციელებს გამგეობის სამსახურების მეშვეობით და თავისთავად, გამგეობის ეფექტურად მუშაობისთვის მართვის უნარი უნდა გააჩნდეს. ამდენად, გამგებლის პოლიტიკური თანამდებობის პირად ყოფნას, მენეჯერული თვისებების ქონა ხელს არ უშლის, ან არ გამორიცხავს, პირიქით, აუცილებელი პირობაა.

თქვენ ადგილობრივ საკრებულოში საკმაოდ მნიშვნელოვანი დარგის–ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე იყავით. დღევანდელი გადასახედიდან, როგორ შეაფასებდით იმ წლების მუშაობის შედეგებს, გაგაჩნდათ თუ არა უკმაყოფილების გრძნობა, იმის გამო. რომ გქონდათ გარკვეული შეზღუდვები, და კიდევ ერთი, ამ წლების მუშაობის ყველაზე დიდი შედეგი, რომლითაც კმაყოფილი იყავით?

–განვლილი წლების საქმიანობა შედეგიანი ნამდვილად იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გადავდივართ რეალურ თვითმმართველობაზე, 2006 წელს დამკვიდრდა ადგილობრივ დონეზე მმართველობის ახალი სისტემა და შეიძლება ითქვას, ნულიდან დავიწყეთ. იმ კომისიის მონაწილეობით, რომელსაც ვხელმძღვანელობდი, არაერთი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული შინაარსის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. თითოეულის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მათ შორის შეიძლება გამოირჩეს მეტად შრომატევადი სამუშაოები, რომელთა შედეგად დამტკიცდა საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების ნუსხები და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცა კერძო საკუთრებაში მოექციათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ფაქტიურად მიტოვებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, როგორც მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამონაწილეობით, ასევე სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და ათწლეულების განმავლობაში გაჩანაგებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია დაიწყო. რაც შეეხება შეზღუდვებს, უკვე აღვნიშნე, რომ მმართველობის სისტემა ნაკლებად მიესადაგებოდა თვითმმართველობის პრინციპებს - მუშაობა გვიწევდა დირექტიული და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ფონზე, რაც დღეისათვის კატეგორიულად არის უარყოფილი და სახელმწიფო ხელისუფლებაც, ნახევრად ხუმრობით შეიძლება ითქვას, რომ „გვაჩვევს" გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების მეთოდებსა და საშუალებებს.

თქვენ ცხრა წლის წინ საკრებულოში მოხვედით სხვა გუნდთან ერთად, ბევრ მათგანთან მეგობრობა გაკავშირებდათ, შეიძლება ითქვას, ძალიან ახლო. პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე თქვენ დატოვეთ გუნდი და შეუერთდით კოალიცია „ქართულ ოცნებას". განმარტეთ, რომ ციხის კადრებმა საბოლოოდ მიგაღებინათ გადაწყვეტილება. იყო მანამდე პროტესტის გრძნობა. როდის მიხვდით, რომ ძველ გუნდში თქვენი ადგილი არ იყო?

–მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მეგობრებს პოლიტიკური მრწამსის მიხედვით არ ვირჩევ და მათთან ამავე ნიშნის გამო არ ვწყვეტ ურთიერთობებს. ვინც მეგობრობის პრინციპების ერთგული რჩება, მათთან ურთიერთობა დღესაც მაქვს–ცალკე თემაა პოლიტიკური და საქმიანი სფერო.

არსებული სისტემის მიმართ უკმაყოფილება დროთა განმავლობაში მძლავრდებოდა და არათუ პროტესტის გრძნობა, პროტესტის გამოხატვასაც ჰქონდა ადგილი, რაც მხოლოდ ვიწრო წრისთვის არის ცნობილი. საბოლოო და საჯარო გადაწყვეტილება სწორედ ციხის კადრებმა მიმაღებინა. ეს უკვე მოთმინების უკანასკნელი წვეთი იყო და იმ გუნდში ვერ დავრჩებოდი, რომელიც კვლავ იმავე გზას დაუჭერდა მხარს და იმავე პინციპებით გააგრძელებდა მოღვაწეობას.

რა რეალობა დაგხვდათ გამგებლად მოსვლისას, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა კუთხით?

–მუნიციპალიტეტში არსებული რეალობა, ყველა მიმართულებით, ყველასთვის ცნობილია და ჩემთვისაც არ არის უცხო, რადგან უკვე მრავალი წელია ადგილობრივ თვითმმართველობაში ვარ დასაქმებული და ყველა პრობლემას სიღრმისეულად ვიცნობ. გამგებლის თანამდებობაზე ჩემს მოსვლამდე, თითქმის ერთი წლით ადრე, სახელმწიფო ხელისუფლებაში „ქართული ოცნება" მოვიდა და იმ დროისთვის უკვე აქტიურ ფაზაში იყო შესული უპრეცედენტო სახელმწიფო მხარდაჭერით მიმდინარე პროექტები. ყველა სოფელში მოწესრიგდა სხვადასხვა სახის ობიექტი. უნდა აღვნიშნო ქალაქის ცენტრალური ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლითაც პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეებს

>>>>>>>>>>> 3

2 <<<<<<<

არჩევნების წინ

შეფასების ამომრჩეველი გააკეთებს

უსაფრთხო გადაადგილების საშუალებაც მიეცა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქცია და ვალდებულებად დააწესა დასახლებებში მოსახლეობის კრებების ჩატარება. შედეგად, ყველა პროექტი, რაც მუნიციპალიტეტში ხორციელდება, მოსახლეობის შერჩევით და ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იგეგმება.

გვერდს ვერ ავუვლით მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. სოციალური დახმარების კუთხით გამგეობაში ათასობით განცხადება შემოდის. თავისთავად, ადგილობრივ ბიუჯეტს მათი დიდი ნაწილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა არ გააჩნია და შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. ჩვენი მთავარი მიზანია, ხელი შევუწყოთ დასაქმების და საერთოდ, სოციალური პრობლემის აღმოფხვრას, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს.

გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის პირველივე დღეებიდან, ჩემთვის უფრო ნათელი შეიქმნა გამგეობის სამსახურების დატვირთული მუშაობის რეჟიმი. ადგილობრივი ხელისუფლება ყველა შესაძლებლობას იყენებს მოქალაქეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რის საშუალებასაც მოქმედი კანონმდებლობა აძლევს.

რა საკითხების მოგვარებით დაიწყეთ მუშაობა?

–გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის დაწყების პერიოდისთვის აქტუალური საკითხები იყო მიმდინარე სამუშაოების დროულად და ხარისხიანად დასრულება, 2015 წელს განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა და ბიუჯეტის ფორმირება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით დასრულდა ყველა მიმდინარე პროექტი. 2015 წლისთვის განისაზღვრა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები და მომზადდა აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზე საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იქნა სოციალური პროგრამების წინ წამოწევაზე. შემუშავდა წინადადება და საკრებულომ დაამტკიცა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები, რომელთა საფუძველზეც წინა წლებისგან განსხვავებით, 2014 წლიდან მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, ას წელს გადაცილებულ მოქალაქეთა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება გაიზარდა 100-დან 150 ლარამდე, დევნილთა დაკრძალვის ხარჯები–60-დან 100 ლარამდე, ახალშობილთა ოჯახების დახმარება, რომელიც 100 ლარს შეადგენდა ყოველ ახალშობილზე, მესამე შვილის შეძენიდან ყოველ ახალშობილზე 300 ლარით განისაზღვრა, სოციალურ პაკეტში დამატებით იქნა გათვალისწინებული დიალიზზე მყოფი ავადმყოფებისთვის ყოველთვიური დახმარება. დამეთანხმებით, ახლად ამოქმედებული პროგრამები სოციალურად შეჭირვებული და გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის სერიოზული შეღავათებია.

როგორ ხედავთ მუნიციპალიტეტის ხვალინდელ დღეს. ისაუბრეთ იმ პროექტებზე, რომლის განხორციელებასაც აპირებთ თქვენს გუნდთან ერთად.

–ახალი კანონმდებლობით, ადგილობრივ თვითმმართველობას მნიშვნელოვნად ფართო უფლებამოსილებები გადმოეცემა, რაც საშუალებას იძლევა ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე უკვე მრავალმხრივად და ეფექტურად წარიმართოს მუნიციპალიტეტში განვითარების პროცესები. ჩვენ საშუალება გვეძლევა, თვითონვე ჩავერთოთ საინვესტიციო გარემოს შექმნაში, ხელი შევუწყოთ ინვესტიციების მოზიდვას. საჯარო გამოსვლისას უკვე გავაჟღერეთ რამოდენიმე მათგანი, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იგეგმება 7 ჰექტარ მიწის ფართობზე უახლესი ტექნოლოგიების სათბურის მშენებლობა და ასევე არაერთი სასათბურე მეურნეობის მოწყობა, თაბაშირ-მუყაოს ქარხნის, საკონსერვო ქარხნის, თხილის ქარხნის და კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომლის ფარგლებში დაგეგმილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის ხორცის წარმოებისთვის კომბინირებული საკვების წარმოება, საქონლის სადგომების, სასაკლაოს და წიწილების ინკუბატორების მშენებლობა, 100 ჰექტარზე მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების გაშენება. ასევე, არის შემოთავაზებები კივისა და სხვა სახის ხილის შემნახველი მაცივრების მშენებლობისთვის. ამ კუთხით მუშაობა კიდევ უფრო მეტად უნდა გავააქტიუროთ, რათა ეტაპობრივად აღმოიფხვრას დასაქმების პრობლემა და მოსახლეობას საარსებო წყარო გამოუჩნდეს.

მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომელიც ხელისუფლებისგან არის მხარდაჭერილი. დავაჩქარებთ გაზიფიცირების, ელექტროგამრიცხველიანებისა და წყალმომარაგების მოწესრიგების პროცესებს. ერთერთ პრიორიტეტად ვსახავთ საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების დანერგვას. და რაც ყველაზე მთავრია, ყოველივე ამის მიღწევისთვის შევქმნით მართვის ეფექტურ მექანიზმს.

რაც შეეხება მიმდინარე წლისთვის უკვე დაგეგმილ პროექტებს, გამგეობაში დასრულებულია საპროექტო და სხვა სახის აუცილებელი დოკუმენტაციის შედგენა და უახლოეს დღეებში აქტიურ რეჟიმში დაიწყება ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გათვალისწინებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.

ძალიან მალე, ქალაქ ხობში, გაიხსნება თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, ISO სტანდარტების შესაბამისი, სიმინდის გადამამუშავებელი და ზეთის მწარმოებელი საწარმო. ეს იქნება საქართველოში პირველი საწარმო, რომელიც დანერგავს პრეცენდენტს ნედლეულის თითოეული გრამიდან მაქსიმალური ღირებულების შექმნას. ზოგადად, სიმინდისგან მიიღება 40-მდე დასახელების პროდუქტი. ამ საწარმოს შექმნა ერთგვარი სტიმული იქნება მომიჯნავე საწარმოების გახსნის. საწარმო იზრუნებს მცირე მეწარმის კეთილდღეობაზე და ბაზარზე სიმინდის ფასს გაასტაბილურებს. ხელს შეუწყობს სასაწყობე მეურნეობის შექმნას. აუცილებელი მოთხოვნა იქნება ქართული, ადგილობრივი ნედლეულის ჩაბარება. საწარმო დაკომპლექტდება ადგილობრივი მუშახელით, რომლებიც სათანადო ტრენინგებს გაივლიან. პროექტის ავტორი და ინიციატორი არის შპს „საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია ქარვა“, შემსრულებელი შვილობილი კომპანია ხობში შპს „კოლხა“.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს თქვენ ახსენეთ ხობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის კონცეფცია. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას გულისხმობთ, აღდგება თუ არა იგი და რამდენ ხანში?

–მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სპორტული ინფრასტრუქტურის არაერთი ობიექტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გაძარცვულია. ესენია: საცურაო კომპლექსი, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ცენტრალური სტადიონი, სპორტ-დარბაზი, სატრენაჟორო დარბაზი, საუნა, საჩოგბურთო კორტები, ფეხბურთის სავარჯიშო მოედნები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამდენი სახის სპორტული ობიექტი არც ერთ მეზობელ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, და ასევე იმას, რომ ხობი გეოგრაფიულად რეგიონის ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული, მათი აღდგენის შემთხვევაში. ხობი შესაძლებელია რეგიონის სპორტულ ცენტრად გადავაქციოთ. ამ ობიექტებიდან მარტო საცურაო კომპლექსის აღდგენაც კი უდიდეს ეფექტს მოგვცემს. სრულიად რეალურია აგრეთვე აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურის ბაზაზე ოლიმპიური მომზადების ცენტრის შექმნა და ყოფილი ოლიმპიური მომზადების სპორტული სკოლა-ინტერნატის მსგავსად, სპორტსმენთა ახალი თაობის პროფესიონალურად აღზრდაზე ზრუნვა. ამ მიზნებისთვის გამგეობაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის მიერ შემუშავდა და საკრებულომ მოიწონა „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების პროგრამა (კონცეფცია)“. მასში დეტალურად არის აღწერილი და გაანალიზებული მუნიციპალიტეტში სპორტისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნები, შესაძლებლობები, გზები, დაფინანსების წყაროები და წინადადებები, აქვე გაანალიზებულია ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაძლო შეღავათები და ხელშემწყობი პირობები. პროექტით დაინტერესდა ხელისუფლებაც და ძალისხმევას არ მოვაკლებთ საკითხის ბოლომდე მისაყვანად–ყოველივე სავსებით რეალურია.

როგორ შეაფასებთ ოპონენტების შესაძლებლობებს, მითუმეტეს თუ ყველა მათგანი თქვენთვის ნაცნობი სახელი და გვარია?

–თითოეული ოპონენტის შესაძლებლობები კარგად ვიცით, და არამარტო ჩვენ. აღარ შევუდგები მათ დახასიათებას და შეფასებას, შეფასებას ამომრჩეველი გააკეთებს და ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენ მიერ არჩეულ გზას ალტერნატივა არ აქვს.

ყველა ნორმალური ადამიანის ნავსაყუდელია თავისი ოჯახი, რას გვეტყვით თქვენს ოჯახზე?

–მაქვს ტრადიციული ქართული ოჯახი. მყავს მეუღლე მაია შუშანია, რომელთანაც ერთად სიყვარულით და ურთიერთგაგებით ვზრდით შვილებს, მარიამსა და თენგიზს. ვზრდით მათ ისე, როგორც ყველა ტრადიციულ ოჯახში ზრდიან შვილებს. ყოველთვის ვუნერგავთ აზრს, რომ ცხოვრებაში მთავარი პატიოსნება და სინდისია. ამასთან, დიდი შრომის და ძალისხმევის გარეშე ცხოვრებაში წარმატებებს ვერ მიაღწევენ. ისინიც გვიჯერებენ და იმედია, ასე გააგრძელებენ. ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე ერთად ვართ და ამით უსაზღვროდ ბედნიერები ვართ.

რას ვერ პატიობთ ახლობლებს, მეგობრებს, როგორც ერთ-ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, თქვენი ხასიათის რა თვისებებს გამოყოფდით?

–ვერ ვპატიობ ტყუილს და ღალატს. ეს არის ის, რაც ძალიან არ მიყვარს და ვერ ვეგუები.

ვაფასებ მეგობრობას, მოყვასისადმი თანადგომას და უანგარო დამოკიდებულებას ადამიანებთან ურთიერთობაში. ვარ ლოიალური, უკონფლიქტო ადამიანი და არაერთი კონფლიქტური სიტუაცია ჩემი მონაწილეობითაც მომიგვარებია... ისე, ჯობია შეფასებები სხვისგან მოვისმინოთ.

რას ფიქრობთ გენდერულ საკითხებზე, დაბალანსებული არის თუ არა იგი თქვენს კოალიციაში?

–უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებულად წამოიწია გენდერული თანასწორობის თემამ. ვფიქრობ, ქართულ სინამდვილეში, ამ კუთხით დისბალანსი არ არის და მრავლად გვყავს ღირსეული ქალბატონები, რომლებიც ტოლს არ უდებენ მამაკაცებს. ამ კუთხით შეიძლება ხობელებმაც ვიამაყოთ. ჩვენი გუნდის სახეებს თვალს თუ გადაავლებთ, გენდერული ბალანსის დაცვაზე ეჭვი არავის შეეპარება.

თქვენი მესიჯები მოსახლეობას.

„–ჩვენ თქვენი პრობლემების და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მოვდივართ!“

კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რითაც წინა ინტერვიუთი მოვუწოდე ამომრჩეველს:

„–საარჩევნო უბანში მისვლამდე კიდევ ერთხელ გააანალიზონ განვლილი პერიოდის მოვლენები და არჩევანის გაკეთებისას დაეყრდნონ მხოლოდ საკუთარ გულისთქმას“.

წარმატებებს გისურვებთ!

არჩევნების წინ

უღირსებო კაცი ლიდერი ვერ იქნება

მამუკა ჭოხონელიძე დაიბადა ხობში 1965 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ტვერის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დაამთავრა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, პარალელურად ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, 1999 წელს ჩაირიცხა საქართველოს სოციოლოგია–პოლიტოლოგიის ინსტიტუტში, პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე. 1989–90 წლებში, ეროვნული მოძრაობის პერიოდში იყო დამოუკიდებელ გაზეთ ,,გზის" ერთ–ერთი დამფუძნებელი და კორესპონდენტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ტელე–რადიო კომიტეტში, მცხეთის თეატრის მთავარ რეჟისორად, ხობის რაიონის კინო–ვიდეოფიკაციის დირექტორად, ხობის რაიონის გამგეობის პრესცენტრის უფროსად, ჟურნალ „ხობის მოამბის" რედაქტორად, ხობის გამგებლის მოადგილედ. საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თავმჯდომარედ. ადგილობრივ არჩევნებში 2006–2010 წლებში არჩეული იქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „საქართველოს განათლებისა და აღორძინების სიით". 2006 წლიდან 2012 წლის დეკემბრამდე იყო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. 2008 წლიდან არის საქართველოს ,,ერთიანი ნაცინალური მოძრაობის" ხობის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არის ორი წიგნის ავტორი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

რა არის თქვენთვის პოლიტიკა, რა გზა გაიარეთ ამ კუთხით, როგორ მიგაჩნიათ, არის თუ არა პოლიტიკური ლიდერობა ობიექტური აუცილებლობით გამოწვეული?

–პოლიტიკა ჩემთვის ყოველდღიურობაა, ცხოვრების ნაწილია და არა მარტო ჩემთვის. ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაზე აისახება პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით. პოლიტიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, ლიდერობა შეიძლება დაგაბრალონ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მართლა ლიდერი ხარ. ლიდერისთვის ბევრ სხვა თვისებასთან ერთად აუცილებელია პრინციპების ტარება.

მე კი ვამბობ, რომ არ ვარ აუცილებლობიდან გამომდინარე გუშინ გამოგონილი ლიდერი, როგორც თქვენ ბრძანებთ. ლიდერი ვიყავი ბუნებით, ხობში ყველა ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ასე, რომ ჩემი ახლა „გალიდერება" ხობის სინამდვილეში პოლიტიკური სიტუაციების არაადეკვატური აღქმაა მხოლოდ. მე ვიყავი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის ორგანიზაციის თავმჯდომარე და დღესაც იმავე პოზიციით ვდგავარ, როგორც ძლიერი, მდგრადი, ღირსეული ოპოზიციური ძალის ადგილობრივი ხელმძღვანელი. რაც შეეხება გზას, ყოველთვის მქონდა საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება, არასოდეს ვყოფილვარ ორმხრივი მოთამაშე, არასოდეს გამითვლია მხოლოდ მოგებაზე, არასოდეს გავქცეულვარ ბრძოლის ველიდან. ერთი სიტყვით პოლიტიკაში წესების დაცვით ვმუშაობდი, რადგან კარგად მაქვს გათავისებული, რომ „წაგება ყოველთვის არ ნიშნავს დამარცხებას" და პირიქით, ყველა მოგება როდია გამარჯვება და თუკი გადავხედავთ დღევანდელ პოლიტიკურ მოცემულობას, ეს ყველაფერი გარკვეული სიამაყის უფლებას მაძლევს.

თქვენმა გუნდმა ჩამოაყალიბა ახალი ტიპის საკრებულო (ასოცირებული საკრებულოს ნაცვლად), იყავით მისი პირველი თავმჯდომარე, რომელ წარმატებებზე შეგიძლიათ ისაუბროთ?

–გეთანხმებით, თვისობრივად ახალი საკრებულო შეიქმნა და მე მერგო პატივი, ვყოფილიყავი ამ ტიპის საკრებულოს პირველი თავმჯდომარე. ფაქტობრივად, ჩვენ შევქმენით მთელი სტრუქტურა, ვრცელი უფლებების მქონე საკრებულო, და, რაც მთავარია, ფუნქციონირებადი, მოქმედი, ცოცხალი. შემიძლია ვთქვა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ნამდვილად იყო წარმატებული საკანონმდებლო სტრუქტურა. ჩვენთვის უპირველესი იყო კანონის პატივისცემა, სამართლიანობა, კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. დაუდევრობას ზერელე დამოკიდებულებას არსად და არასოდეს ვცემ პატივს. ასევე იყო ის გუნდიც, რომელზეც მე გავაკეთე არჩევანი და ვფიქრობ, არ შევმცდარვარ. საკრებულოში დაცული იყო გუნდური მუშაობის პრინციპები, იყო ჯანსაღი კომუნიკაციები, პოზიტიური ურთიერთობები, საქმისადმი კომპეტენტური დამოკიდებულება, რაც ნამდვილად აისახა საკრებულოს იმიჯზე. დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, საკრებულოს თითოეულ თანამშრომელს, ვინც ჩემთან ერთად წლების განმავლობაში იღწვოდა ხობისთვის. გამომდინარე აქედან, არაერთი წარმატება იყო ჩვენს საქმიანობაში, კონკრეტულად გამოყოფა გამიჭირდებოდა.

ნათქვამია, ,,არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს", გქონდათ თუ არა შეცდომები, კონკრეტულად რას მიიჩნევდით ყველაზე დიდ შეცდომად?

–უდავოდ ჭეშმარიტი ნათქვამია. ადამიანები შეცდომების მეტს რას ვუშვებთ, ყველაზე მეტად ცდება ის, ვინც ამბობს, რომ არასოდეს ცდება, თუმცა შეცდომაცაა და შეცდომაც... მხედველობაში მაქვს შეცდომა, რომელიც სერიოზულ პრობლემას ქმნის მუნიციპალიტეტში, რეგიონში, ქვეყანაში, შეცდომაა პირადი ინტერესებით, პირადი ახირებით მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც სხვას ზიანს აყენებს. ბუნებრივია, ყველას ყველაფერს ვერ გაუკეთებ, თუმცა არსებითი შეცდომა რომ დამეშვა, ისევე არ მაპატიებდნენ, როგორც ბევრ სხვას, პირველ რიგში მას საზოგადოება არ მაპატიებდა. საზოგადოების განაჩენი უტყუარია, ყველას დაარქმევს კონკრეტულ სახელს: ვინ კორუმპირებულია, ვინ უკანონო წილების მიმღები თუ მფლობელი, ვინ არაპროფესიონალი და სხვა. მერე ამ სახელის ჩამორეცხვა, რაც საზოგადოებამ დაგარქვა, მარტივად არ ხდება.

რას ფიქრობთ, როგორ პიროვნებას შეიძლება ეწოდოს ლიდერი, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ლიდერს?

–ლიდერი, პირველ რიგში, მართალი უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ხალხი არ წამოგყვება, ერთხელ შეიძლება მოტყუვდეს, მაგრამ ასეთი წარმატება ხანმოკლე იქნება. სხვა ბევრი თვისებაც უნდა ჰქონდეს ლიდერს, ქვეყნის სიყვარული, ერთგულება, პრინციპულობა, მართვის სტრატეგიების ცოდნა, სიტყვის კაცობა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, ამ ყველაფერს ერთად ღირსება ქვია. უღირსებო კაცი ლიდერი ვერ იქნება.

რას იტყვით, გუნდის ჩამოყალიბებისას რომელი კრიტერიუმია მთავარი, ერთგულება თუ პროფესიონალიზმი?

–ორივე კრიტერიუმი მნიშვნელოვანია. თუ პიროვნება ერთგული არ არის, გუნდურ ინტერესებს ვერ დაიცავს და შესაბამისად გუნდიც მყარი ვერ იქნება, ხოლო პროფესიონალიზმი უკვე გუნდის ღირსებაა, პროფესიული ნიშანი გუნდის იმიჯზე ბევრად მოქმედებს, განსაკუთრებით პოლიტიკური გუნდი როცა არაპროფესიონალებთაა დაკომპლექტებული, მათი კომპეტენტურობა საქმეში მუდამ კითხვის ნიშნის ქვეშაა და შესაბამისად, მოქმედებს გუნდის სანდოობაზე, მის რეიტინგზე.

პირველი ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა, როგორ ფიქრობთ, როგორი საარჩევნო გარემოა დღეს, ერთნაირად არის თუ არა დაცული ყველა პარტიისა და თითოეული კანდიდატის ინტერესი?

–რა თქმა უნდა, არ არის თანაბარი საარჩევნო გარემო, როცა მოქალაქეს ეშინია ხმამაღლა გამოხატოს საკუთარი პოზიცია, როცა კონტროლდება სალამიც კი, როცა ასე მკაცრადაა გავლებული ზღვარი „ნაციონალებსა" და დანარჩენებს შორის, ზედმეტია საუბარი თანაბარ საარჩევნო გარემოზე. არა უშავს, ეს შიშის ბრალია და სრულიად მესმის მათი. ჯერ კიდევ უმწიფარი პოლიტიკური გუნდი ძალიან ჭრელი კოალიციური რეჟიმით, რომელმაც ორი წელი ფეხი ვერ აიდგა ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე, ვერ განიმტკიცა პოზიციები და საშინლად დაბნეულია, ბუნებრივია, ექნება შიშის ფაქტორი ისეთ სტაბილურ, მდგრად, კომპეტენტურ, გამოცდილ, ევროპული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალასთან, როგორიცაა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". ეს არ არის ჩემი სუბიექტური პოზიცია, ეს მწარე რეალობაა, რომელიც ყველაზე ნათლად დღევანდელი ხელისუფლების ლიდერებს ეტყობათ თუნდაც დებატებში, როცა არგუმენტების არ არსებობის გამო, ნებისმიერ წარუმატებლობას ხელისუფლებიდან უკვე ორი წლის წასულ „ნაციონალურ მოძრაობას"აბრალებს და ტრაგიკომიკურ, ისტერიულ მდგომარეობაში ვარდება.

როგორ წარსდგებით ხალხის წინაშე, რა პრობლემებს წამოსწევთ წინ, თუ შეგეკითხებიან ,, მაშინ რატომ არ გააკეთეო, რა პასუხი გაქვთ?

–მე ვაკეთებდი იმას, რაც მევალებოდა, რაც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენდა. საკრებულოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, მხოლოდ ხობის კეთილდღეობისკენ იყო მიმართული, არც ერთი ჩემი პირადი თუ ჩემიდროინდელი საკრებულოს ქმედება არ არის პირადი ინტერესებით განპირობებული, კეთილსინდისიერად ვემსახურე იმ მისიას, რაც დაკისრებული მქონდა. ასე, რომ „მაშინ გაგეკეთებინას" ვერ იტყვის, ან ძალიან ცოტა თუ იტყვის, რადგან არაფერია სრულყოფილი. რაც მთავარია, ჩემზე ვერ იტყვიან, რომ ჭოხონელიძემ საქმე ვერ შეძლო, ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, კორუმპირებულია, ვინმეს ბიზნესი დაუზარალა და ა. შ. ყველა შესაძლოა ერთნაირად კმაყოფილი ვერ იყოს, რადგან ადამიანები ხშირად საკუთარი სარგებლის მიხედვით არჩევენ, ვინ უარესია, ვინ– უკეთესი, თუმცაღა არც პიროვნული საკითხები დამიტოვებია გულგრილად იმის ფარგლებში, რის შესაძლებლობასაც კანონი მაძლევდა და, რაც მთავარია, არასოდეს მისპეკულირია ზემოაღნიშნულით, მადლობა თქვენ, რომ დამისვით კითხვა და მომეცით შესაძლებლობა, ვთქვა ის, რაც რეალურია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ღირებულებებმა უკანა პლანზე გადაიწია და, შესაბამისად, რატომღაც არაფერია სირცხვილი, მინდა ვთქვა, რომ თავის მართლება არასოდეს დამჭირვებია.

არ მინდა, მაგრამ ვერ ავცდები ,,ცხრა წლის" შედეგებს. რა მოგცათ თქვენ ამ წლებმა, როგორ განიხილავთ თქვენი ცხოვრების ამ პერიოდს?

–ჩვენ რაც ვისაუბრეთ, თითქმის, ყველაფერი ცხრა წლის შედეგებთან ასოცირდება. ეს წლები ჩემთვის წარმატების გარდა უდიდესი გამოცდილება, უდიდესი გაკვეთილი იყო.

თქვენი ხედვა რუსეთთან და დასავლეთთან მიმართებაში?

–იდეალური ვარიანტი საქართველოსთვის არის მხოლოდ და მხოლოდ ევროპა. ჩვენ საუკუნეების მანძილზე ვიყავით მოწმე საქართველოს რუსეთთან ურთიერთობისა. ცალსახად ნათელია, რომ რუსეთს არ სჭირდება განვითარებული, თავისუფალი საქართველო. რუსეთის პირობითი კეთილგანწყობა მხოლოდ მის ტყვეობაში მყოფი, დაჩეხილ–დაქუცმაცებული, დარბეული, მონადქცეული, ღირსებააყრილი საქართველოს ხვედრია. თავისუფალი, პროგრესული, ძლიერი, ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირებულ საქართველოს რუსეთი ვერ გუობს. დღეს ხშირად გვესმის ერთი და იგივე ტექსტი, რომ მეზობელთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, რომ დიდ ქვეყანასთან შეჭიდება ჩვენთვის წამგებიანია... ვთქვათ ეს ჭეშმარიტებაა, აკი დავეთანხმეთ კიდეც ბოლო ორი წელი ... შედეგი? რუსული აგრესიის მიმართ სიჩუმის შედეგი არის ის, რაც ხდება დღეს ქვეყანაში: მიტაცებული ტერიტორიები, ქართლის ბაღები, ქართველთა საცხოვრისები, კარ–მიდამოები, სახნავ–სათესი, საფლავები... ბოლოს და ბოლოს ისტორიას კი ქართველებისგან მსგავსი პრეცედენტი არ ახსოვს მოძალადის, მომხდურის მიმართ. დღევანდელი ხელისუფლების დღის წესრიგში კი გააქტიურებულია საკითხი, როგორ ებრძოლონ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", მაგრამ დუმან ისეთ კარდინალურ საკითხებზე, როგორიცაა ქვეყნის მომავალი ბედი, სასაზღვრო უსაფრთხოების დაცვა. ძნელი გასაგებია ლოგიკა, დიდი მეზობელია და მამულის ქურდობა უნდა მოვითმინოთ!

თქვენი მოლოდინები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისადმი, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გინდათ თქვათ?

–საკუთარ თავს და თითოეულ ხობელს ვუსურვებდი, უპირველესად, სწორი, სამართლიანი, ობიექტური განსჯის უნარს, თუ რა სჯობს ჩვენი ხობისთვის, ზოგადად, ქვეყნისთვის. არჩევანი გავაკეთოთ არა პირადი, არა კერძო ინტერესით, არამედ მართლაც შერჩევის პრინციპით: საქმის კეთების უნარით, კომპეტენციით, პრინციპულობით, გამოცდილებით.

მჯერა, რომ ხალხი ღირსეულ არჩევანს გააკეთებს.

გისურვებთ წარმატებებს!

არჩევნების წინ

„აირჩიეთ ცვლილებები“

დავით კუკავა დაიბადა 1967 წლის 20 მარტს ქალაქ სოხუმში, 1984 წელს დაამთავრა ხობის №1 საშუალო სკოლა, სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ხამისქურის კოლმეურნეობაში რიგით კოლმეურნედ, 1986 წელს ჩაირიცხა გორის სახელმწიფო ეკონომიკურ ინსტიტუტში, 1991წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, 1991 წლის 22 მაისიდან 1994 წლის სექტემბრამდე მუშაობდა სახელმწიფო მეურნეობა „განთიადში“ მთავარ ეკონომისტად, 1995 წლიდან 2002 წლამდე მუშაობდა აუდიტორული ფირმის სერთიფიცირებულ აუდიტორად, 2003 წლის ნოემბერში აირჩიეს ხობის რაიონის გამგებლად, სადაც 2005 წლის აგვისტომდე იმუშავა, ამჟამად საქველმოქმედო ფონდი „ჯეგეთას“ ვიცეპრეზიდენტია.

ბატონო დავით, დიდიხანია რაც პოლიტიკაში ტაიმ-აუტი გაქვთ აღებული, რატომ აპირებთ ისევ დაბრუნებას?

–პირველ რიგში მოგესალმებით ყველას, მივესალმები ჩემს ხობელებს და ღვთის შეწევნას ვუსურვებ თითოეულ მათგანს... მიხარია, რომ მომეცა შესაძლებლობა, თქვენი მეშვეობით ვისაუბრო იმ საკითხებზე, რაც ძალიან მტკივნეულია ჩემი ხობელი მოსახლეობისთვის და რატომაც გადავწყვიტე პოლიტიკურ ჭრილში მათთან დაბრუნება, თორემ მე ჩემი ქალაქიდან და სოფლიდან არასოდეს წავსულვარ და არც არასოდეს წავალ. ჩემი ცხოვრების მანძილზე ყოველთვის, ყოველწამს ხობის ლხინისა და ჭირის ზიარი ვიყავი და ვიქნები. თუმცა ბოლოჟამს ბევრის გადატანა, გაძლება მოუწია როგორც საქართველოს, ასევე ჩემს სამეგრელოსაც. ძალიან ბევრმა ჩვენგანმა იწვნია საკუთარ თავზე უსამართლობის, ტერორისა და სამართლებრივი დევნის ძნელად გასაძლები დღეები, თვეები, წლები. სწორედ ამან განაპირობა ჩემი იძულებითი ტაიმ-აუტი პოლიტიკური აქტივობისაგან. როგორც ბევრი სხვა ამ ქვეყნის მოქალაქე, მეც გავხდი წინამორბედი ხელისუფლების პოლიტპატიმარი. ახლა კი როცა ამ ყველაფერმა ჩაიარა, ვაპირებ ჩემი ყველანაირი რესურსი ჩემს ხობს მოვახმარო. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, ყოველთვის ვიდექი იქ, სადაც ჩემს სამშობლოს ჭირდებოდა და როცა სჭირდებოდა. ამიტომაც ძალიან აქტიურად ვედექი „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიციური რეჟიმის დამარცხებაში. მეც მათთან ერთად მივიღე მონაწილეობა ჩემს მუნიციპალიტეტში ერთპიროვნული, ამბიციური, მანკიერი და კლანური მმართველობის ახლით ჩანაცვლებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ის მოლოდინი, რაც ხალხს გვქონდა, ამ ცვლილებებისგან არ გამართლდა. ის პრობლემები, გადაუწყვეტავი საკითხები, პასუხგაუცემელი კითხვები, მძიმე სოციალური ფონი და კიდევ ბევრი რამ ისევ უცვლელი დარჩა მთელი ქვეყნის მასშტაბით. სწორედ ამან, ჩემი ხალხის სატკივარმა მიმიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დღეს პოლიტიკაში დავბრუნდი და კენჭს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლად ვიყრი.

ვარდების რევოლუციის შემდგომ თქვენ იყავით პირველი გამგებელი, ძნელი იყო იმ პერიოდში მუშაობა?

–თავისთავად ძალიან რთული პერიოდი იყო. შევარდნაძის პრეზიდენტობისას ჩაბნელებული, უმოქმედო, გაყინული პერიოდის შემდეგ ძალიან ბევრი პრობლემა,–გაპარტახებული, გაჩანაგებული მემკვიდრეობა იქნა გადმობარებული. ჯანდაცვა, განათლება, სოციალური სფერო მოუწესრიგებელი იყო, მასობრივი შიმშილობა სუფევდა... ცხოვრების რომელ უბანსაც არ უნდა შეხებოდით, ყველგან უკიდურესად მძიმე სიტუაცია იყო... მახსოვს ყოველდღიურად მქონდა მოქალაქეთა მიღების საათები და გამგეობის შენობა ვერ იტევდა დახმარების მომლოდინე მოსახლეობას. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით ამ ხალხის დასახმარებლად.

მახსოვს ნაციონალური მოძრაობის წევრი იყავით, რატომ გაიყო თქვენი გზები?

–ედუარდ შევარდნაძის აუტანელი მმართველობის შესაცვლელად ერთადერთი ოპოზიციური ძალა მაშინ „ნაციონალური მოძრაობის“ სახით არსებობდა და ვისაც კი პროტესტის შეგრძნება ჰქონდა იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, ამ პარტიას იყო ამოფარებული. მაშინ მე კი არა, მთელი საქართველო „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერად იყო გაერთიანებული და დარაზმული. არა მარტო მე, არამედ ბევრი ისინი, ვინც დღეს „ქართულ ოცნებაში“ არიან პოლიტიკური კარიერის სათავეს სწორედ პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებიდან იღებდნენ... რაც შეეხება ჩვენს გზაგასაყარს, ეს ძალიან მალე მოხდა. რევოლუციით მოსული ხელისუფლება დასაწყისშივე ისეთ შეცდომებს უშვებდა, რომ ამაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელი იყო. ჩემი გამგებლობის პერიოდშიც სწორედ ამან წარმოქმნა პრობლემები მათთან ურთიერთობაში, ჩვენი შეხედულებები რიგ საკითხებში ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მერე ნელ-ნელა მოხდა ის, რომ მე გამოვეყავი იმ პარტიულ გუნდს, რასაც საბოლოოდ ჩემი დაპატიმრება მოჰყვა...

ყველაზე დიდი მიღწევა თქვენი გამგებლობის პერიოდში?

–„კარგი ქენი ქვას დადევიო“ ხომ გაგიგიათ, არ მიყვარს მიღწევებსა და გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკი... თუმცა, რადგან მეკითხებით უნდა გიპასუხოთ, ერთ-ერთი მიღწევა ისიც იყო, რომ მაშინდელი ბიუჯეტი, რომელიც ტრანსფერზე იმყოფებოდა ადგილობრივი გავხადეთ და ორ მილიონს გადააჭარბა. გარდა ამისა, ჩემი გამგებლობისას ხობის რაიონში თითქმის ყველა საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები იქნა ჩატარებული. მოხერხდა დასასვენებელი სკვერების მოწყობა. სასწრაფო დახმარების ახალი მიმღები პუნქტის ამოქმედება, მაშინ, როცა სხვა რაიონებში ჯერ კიდევ პრობლემატური იყო ეს საკითხი. ჩემი გამგებლობის პერიოდში განაახლა ყულევის ტერმინალმა მუშაობა, სადაც ძალიან ბევრი ადგილობრივი ადამიანი დასაქმდა.

დღევანდელი გადასახედიდან რას ნანობთ, როგორ გგონიათ, მაშინ რა ვერ გააკეთეთ?

35	ნინო	ქარჩავა	ხობი დ.აღმაშენებლის ქ. 22
36	ბესიკი	ხურცია	ხობი სტალინის ქ. 48
37	გენადი	ქაძანაია	ხობი ს. ძველი ხიბულა

მაჟორიტარი კანდიდატები

მაჟ. ოლქი	კანდ.	წარმდგენი	სახელი	გვარი	მისამართი
1	1	1. ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა-ფიქრია ჩიხრაძე)"	ნოდარი	კარტოზია	ხობი აკ.წერეთლის ქ. 2
1	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	ბორისი	ბერაია	ხობი ეგ.ნინოშვილის ქ. 22
1	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	თემური	გულუა	ხობი ს. მეორე გურიფული
1	18	18. სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა	ირაკლი	ჭიჭინაძე	ხობი ი.გოგებაშვილის ქ. 15
1	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ლევან	ქავთარაძე	ხობი შ.რუსთაველის ქ. 7
2	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	ალიკო	ბურჯანაძე	ხობი ს. ახალი სოფელი
2	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ჯონი	დავაძე	ხობი ს. ახალი სოფელი
2	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	მამუკა	ქარდავა	ხობი ს. ხეთა
2	42	99. საინიციატივო ჯგუფი	ჯემალი	ნადარაია	ხობი ს. ახალი სოფელი მე-2 ქ. 49
3	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	თენგიზი	ჯიშკარიანი	ხობი ს. ახალი ხიბულა
3	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ია	ჯიშკარიანი	
3	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	გენადი	ზარანდია	ხობი ს. ახალი ხიბულა
4	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	მაკა	ბერიშვილი	ხობი ს. ბია
4	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ფრიდონ	შონია	ხობი ს. ბია

10

5	1	1. ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა,ფიქრია ჩიხრაძე)"	ჟანა	ჭეჟია	ხობი ს. პირველი მაისი
5	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	დემნა	კვიკვინია	ხობი ს. პირველი მაისი
5	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	სოსო	ქანდარია	ხობი ს. პირველი მაისი
5	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	მალხაზი	ლაგვილავა	ხობი ს. პირველი მაისი
5	42	99. საინიციატივო ჯგუფი -	გიგლა	კვიკვინია	ხობი ს. პირველი მაისი
5	43	99. საინიციატივო ჯგუფი -	გოგი	იოსავა	ხობი ს. პირველი მაისი
5	44	99. საინიციატივო ჯგუფი -	კახა	ბუკია	ხობი ს. პირველი მაისი
6	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	ზვიადი	ქანდავაძე	ხობი ს. პირველი გურიფული
6	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	დავითი	კუკავა	ხობი ს. პირველი გურიფული
6	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ლაშა	გვასალია	ხობი ს. პირველი გურიფული
6	42	99. საინიციატივო ჯგუფი	ტრისტანი	ვადაქარია	ხობი ს. პირველი გურიფული
6	43	99. საინიციატივო ჯგუფი	ცისია	ბახია	ხობი ს. პირველი გურიფული
7	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ვახტანგ	აბაკელია	ხობი ს. ზემო ქვალონი
7	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	თენგიზ	აბაკელია	ხობი ს. ზემო ქვალონი
8	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	გიორგი	ბუკია	ხობი ს. თორსა დღვაბა
8	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ბესიკი	მუმლაძე	ქუთაისი ვლ.მესხიშვილის IV შეს. 4
8	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	მზია	ლემონჯარია	ხობი ს. თორსა დღვაბა
9	1	1. ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა,ფიქრია ჩიხრაძე)"	დემური	კონჯარია	ხობი ს. ნოჯიხევი
9	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	რადიონი	გერგაია	ხობი ს. ნოჯიხევი
9	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	გოჩა	კვაშილავა	ხობი ს. ნოჯიხევი
9	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	გოჩა	სიჭინავა	ხობი ს. ნოჯიხევი
10	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	გიგა	ჯანჯღავა	ფოთი წმინდა გიორგის ქ. 142
10	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ევგენი	მამულაძე	ხობი ს. შავღელე
10	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ლეონიდე	ლოლუა	ფოთი გურიის ქ. 177
10	42	99. საინიციატივო ჯგუფი	რამინი	ხილაძე	ხობი ს. შავღელე
11	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ნინო	ბოკუჩავა	ხობი ს. პირველი ხორგა
11	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	თამაზი	შელია	ხობი ს. პირველი ხორგა
11	42	99. საინიციატივო ჯგუფი	როსტევანი	გვარამია	ფოთი მაკალათიას ქ. 12
12	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	მურმანი	გურული	ხობი ს. საგვიჩიო
12	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	იგორი	გოგოლაძე	თბილისი ა.ჩიქობავას ქ. 20
13	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	ზაზა	სიჭინავა	ხობი ს. საჯიჯაო მე-18 ქ. 1
13	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ნუგზარი	წირღვავა	ხობი ს. საჯიჯაო მე-4 ქ. 5
13	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	მერაბ	ნადარაია	თბილისი ლისის ტბის დას. 14
14	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	ავთანდილი	ბერაია	ფოთი 8 მარტის ქ. 5
14	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	გურიელ	ქარდავა	სოხუმი ს. შრომა ხობი ს. ქარიატა
14	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	რომანოზი	ცხადაია	ხობი სამეგრელოს ქ. 3
14	42	99. საინიციატივო ჯგუფი	კახა	მიქაბერიძე	ხობი ს. ქარიატა
15	1	1. ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა,ფიქრია ჩიხრაძე)"	ინგა	ღვინჯილია	ხობი ს. ქვემო ქვალონი
15	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	შალვა	ყალიჩავა	ხობი ს. ქვემო ქვალონი
15	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ზვიადი	ცანავა	ხობი ს. ქვემო ქვალონი
15	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ტარიელ	ალექსანდრია	ფოთი ალ.პუშკინის ქ. 76
15	42	99. საინიციატივო ჯგუფი	ელგუჯა	ლაგვილავა	ხობი ს. ქვემო ქვალონი
16	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	გელა	არველაძე	ფოთი ნ.ვაჩნაძის ქ. 5
16	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	სვეტლანა	აბაკელია	ხობი ს. ჭალადიდი
16	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ალექსანდრე	ნაჭყებია	ხობი ს. ჭალადიდი
16	42	99. საინიციატივო ჯგუფი	ხვიჩა	ფადავა	ხობი ს. ჭალადიდი
17	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	გია	წულაია	ხობი ს. ყულევი იმედის ქ. 18
17	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ქრისტინე	შონია	ხობი ს. ყულევი იმედის ქ. 112
17	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	შოთა	სირაძე	ხობი მ.იოსავას ქ. 2
18	1	1. ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა,ფიქრია ჩიხრაძე)"	ვიტალი	ბარამია	ხობი ს. შუა ხორგა
18	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	კახაბერ	დოლბაია	ხობი ს. შუა ხორგა
18	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	შუქრი	ლიპარტია	ოჩამჩირე ს. ბესლახუბა
18	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ედიშერი	ჯობავა	ხობი ვაჟა-ფშაველას ქ. 20
19	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ფელიქსი	წურწუმია	ხობი ს. ძველი ხიბულა
19	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	გენადი	ქაძანაია	ხობი ს. ძველი ხიბულა
20	1	1. ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა,ფიქრია ჩიხრაძე)"	ვასილი	კუკავა	ხობი ს. ხამისქური
20	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	ზურაბი	გვაჯაია	ხობი დ.აღმაშენებლის ქ. 38
20	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	კახა	წყაბელია	ხობი ს. ხამისქური
20	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	მაკა	ჩარტია	ხობი ს. მეორე გურიფული
21	1	1. ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა,ფიქრია ჩიხრაძე)"	ირმა	ჭითანავა	ხობი ს. ხეთა შ.რუსთაველის ქ. 7
21	3	3. ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	ბადრი	ანთია	ხობი ს. ხეთა კ.გამსახურდიას ქ. 27
21	5	5. ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	ვლადიმერი	ჭითანავა	ხობი ს. ხეთა თავისუფლების ქ. 6
21	41	41. ბლოკი "ქართული ოცნება"	ია	გელოვანი	ხობი ს. ხეთა გ.ტაბიძის ქ. 9
21	42	99. საინიციატივო ჯგუფი	ნოდარი	გელენავა	ხობი ს. ხეთა კ.გამსახურდიას ქ. 34
21	43	99. საინიციატივო ჯგუფი	ბეჟანი	ქირია	ხობი ს. ხეთა ი.ჭავჭავაძის ქ. 3

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები დაიწყო. მთავაზობთ ხობის მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში დაგეგმილი სამუშაოების ჩამონათვალს

ახალსოფელი

1. საყანე ფართობების შემოღობვის სამუშაოები (გორგაძეების უბანი)–**7473,07 ლარი.**
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები (სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია)–**5468,33 ლარი.**
3. N1 საბავშვო ბაღის წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სარემონტო სამუშაოები–**4806,60 ლარი.**
4. გაღმა პირველი ხორგა–სანადარაიოს უბანში (ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია) სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**7394,96 ლარი.**
5.სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები (ჩაჩიბაიების უბანი)_**3725,18 ლარი.**
6. N2 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები–**6735,86 ლარი.**

ახალი ხიბულა

1.სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები (საღურწკაიოს უბანი)–**1615,06 ლარი.**
2. გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით (საღურწკაიო-სავარდიო)–**16408,94 ლარი.**
3. გაშფერდი გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით –**15492,23 ლარი.**
4. არსებული წყაროს მოწესრიგების სამუშაოები –**1274,77 ლარი.**
5. მილხიდის მოწყობის სამუშაოები (თ. ჯიშკარიანის სახლთან)–**800,00ლარი.**
6. ზუბის გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**14611,00 ლარი.**

ბია

1. საძოვრების შემოღობვის სამუშაოები–**13529,00 ლარი.**
2. ბია-საშონიო მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები–**6475,25 ლარი.**
3. საძოვრების შემოღობვის სამუშაოები–**1733,75 ლარი.**
4. ზემო ბიის გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**4493,00 ლარი.**

პირველი მაისი

1. ბულიწყუ საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისგან–**11378,09 ლარი.**
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**7069,35 ლარი.**
3. ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები–**11016,56 ლარი.**
4. საკვიკინიოს საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისგან–**16774,00 ლარი.**
5. ჭიხუს სასაფლაოს მისასვლელ გზაზე ცხაურის შეკეთების სამუშაოები–**1016,37 ლარი.**
6. გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**2285,08 ლარი.**
7. სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**11261,55 ლარი.**

გურიფული

1. I გურიფულში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**14298,00 ლარი.**
2. II გურიფულში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**10789,51 ლარი.**
3. საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის აღდგენა–**4686,49 ლარი.**

ზემო ქვალონი

1. ზემო ქვალონი სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**6164,00 ლარი.**
2. საალანიო- საფაჩულიოს წყალსადენის მოწყობის სამუშაოები–**6044,00 ლარი.**
3. სახოჭოლავო სასაფლაოს მისასვლელ გზაზე ცხაურის მოწყობის სამუშაოები–**2295,30 ლარი.**
4. ხიდბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები–**5620,90 ლარი.**
5. საყანე ფართობების შემოღობვის სამუშაოები– **1550,46 ლარი.**
6. სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**3401,34 ლარი.**

თორსა-დღვაბა

1.თორსა სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**6718,96 ლარი.**
2. ცენტრის კეთილმოწყობა–**4102,31 ლარი.**
3. გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**4113,73 ლარი.**
4. დღვაბას გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**9471,00 ლარი.**
5. საბუკიოს გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**14190,00 ლარი.**

ნოჯიხევი

1. ნოჯიხევში წერეთლის ქუჩაზე ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები–**12324,14 ლარი.**
2. კოსტავას ქუჩაზე ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები –**13434,88 ლარი.**
2. სტალინისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების კვეთაზე არსებული ცხაურის რეაბილიტაცია–**3000,00 ლარი.**
3. სტალინის ქუჩაზე სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**3888,98 ლარი.**

ზენი

1. საყანე ფართობთან მისასვლელი გზის მოხრეშვა–**8161,00 ლარი.**
2. კუთხე ნოჯიხევში ყაზბეგის ქუჩაზე ხიდბოგირის მოწყობა–**9219,00 ლარი.**
3. ნაფოშტუს საყანე ფართობთან მისასვლელი ხიდბოგირის მოწყობა (საცხომარიოს უბანი)–**13132,00 ლარი.**
4. დასახლებაში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**11173,00 ლარი.**
5. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია–**5000,00 ლარი.**

პატარა ფოთი

1. პატარა ფოთი I უბანში სასაფლაოს შემოღობვა–**7445,69 ლარი.**
2. II უბანში ადმინისტრაციული შენობის (ტერიტორიული ორგანო) სარემონტო სამუშაოები–**7080,51 ლარი.**
3. ქუჩების დამისამართება–**2355,80 ლარი.**

შავღელე

1. სოფლის ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები–**25533,00 ლარი.**

პირველი ხორგა

1. პირველი ხორგაში გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**2711,71 ლარი.**
3. სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**14351,29 ლარი.**

საგვიჩიო

1. საგვიჩიოს I უბანში საყანე ფართობის შემოღობვა–**5000,00 ლარი.**
2. II უბანში ადმინისტრაციული შენობის (ტერიტორიული ორგანო) შემოღობვა–**5000,00 ლარი.**
3. III უბანში საძოვრების გამიჯვნა საავტომობილო გზის გასხვისების ზოლიდან–**5909,00 ლარი.**

საჯიჯაო

1.ზენის საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისგან–**22233,22 ლარი.**
2. გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**2891,78 ლარი.**
3. გაღმა საჯიჯაოს საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისგან–**14178,00 ლარი.**
4. ზუბი საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისაგან –**10509,37 ლარი.**
5. გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით– **5086,63 ლარი.**
6. ჯაპიშაქარში საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისგან– **15382,72 ლარი.**
7. გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**1836,28 ლარი.**

ქარიატა

1. გაღმა ქარიატა ეკლესიის ეზოს შემოღობვა–**11001,13 ლარი.**
2. დამბის აღდგენის სამუშაოები–**2215,87 ლარი.**
3. გამოღმა ქარიატაში გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით –**8342,00 ლარი.**

ქვ.ქვალონი

1. გიმოზგონჯილში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**17255,00 ლარი.**
2. გვიმარონის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები–**9652,00 ლარი.**
3. დურღენა სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**17087,00 ლარი.**
4. ბულიში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**13649,00 ლარი.**
5. ჭითაუშქურში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**3539,62 ლარი.**
6. ჯავახიშვილის ქუჩაზე ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები–**3253,60 ლარი.**
7.წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები–**2052,78 ლარი.**

ჭალადიდი

1. საბაჟოს გზის შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**33502,00 ლარი.**
2. საქორქიოში შიდა სამიმოსვლო გზის შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**4385,00 ლარი.**
3. საღვამიჩაოს გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**14142,00 ლარი.**
4. საჭოჭუოს გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**13120,00 ლარი.**

ყულევი

1. ყულევის გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**8582,00 ლარი.**

შუა ხორგა

1. გამოღმა შუა ხორგაში, გაღმა შუა ხორგასა და ყორათში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია–**38501,00 ლარი.** (*სოფელ გამოღმა შუა ხორგის 16414 ლარი, სოფელ გაღმა შუა ხორგის 14599 ლარი და სოფელ ყორათის 7488 ლარი გაერთიანდა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად*).

ძველი ხიბულა

1. ძველი ხიბულის შიდა სამიმოსვლო გზების ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით–**18024,00 ლარი.**

ხამისქური

1. ხამისქურის გზის ორმული შეკეთება (ზემო საფარცვანიოს უბანი)–**10357,50 ლარი.**
2. ხამისქურში, საკუკავო საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის შეკეთება (ქვემო საფარცვანიოს უბანი)–**8527,50** (*სოფელ საკუკაოს 3926 ლარი და სოფელ ხამისქურის 4601.50 ლარი გაერთიანდა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად*).
3. საკუკავოში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**7254,58 ლარი.**
4. საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის შეკეთება –**2745,42 ლარი.**
5. საქირიო წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები–**9826,46 ლარი.**
6. საყანე ფართობთან მისასვლელი ხიდბოგირის მოწყობა–**5841,54 ლარი.**

ხეთა

1.ლარჩვაში ცენტრის კეთილმოწყობა (მოასფალტება)–**18834,57 ლარი.**
2. ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია (ლევან ტურავას ქუჩა) –**1225,92 ლარი.**
3. სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**7143,51 ლარი.**
4. ნოჩხონის სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–**18781,00 ლარი.**
5. ოხვამეკარი წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები (საჭითანაოს უბანი)–**11332,06 ლარი.**
6.შეკეთება ქვიშა-ხრეშით (საგაბრაოს უბანი)–**2881,94 ლარი.**
7. წინაგოლაში გზისპირა ნაპირსამაგრი სამუშაოები–**2339,23 ლარი.**
8.გზის ორმული შეკეთება ასფალტო ბეტონით–**12944,77 ლარი.**
9. ხეთაში გზის ორმული შეკეთება ქვიშა-ხრეშით (საკანკიოს უბანი)_**5241,59 ლარი.**
10. წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები (საკანკიოს უბანი)–**1403,16 ლარი.**
11. მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები–**6475,25 ლარი.**

გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ხობში

ხობის მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში კულტურულ-სპორტული ღონისძიებები მიმდინარეობდა.

მილიარდის დარბაზ „მასაში", განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის მილიარდის ჯგუფის ჭამუკვებს შორის მილიარდში, მუნიციპალიტეტის პირველობა გაიმართა. გათამაშება ოლიმპიური სისტემით თავისუფალ პირამიდაში ჩატარდა, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

I ადგილი ფრიდონ გამისონიამ (საქართველოს ნაკრების წევრი), ხოლო II ადგილი ნიკა კვირტია (ფოთი), III ადგილი–თემურ სირაძემ დაიკავა.

გამარჯვებული სპორტსმენები მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრებითა და პრიზებით დაჯილდოვდნენ.

სპორტული ღონისძიების ფარგლებში ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფინალური შეხვედრა მუნიციპალიტეტის პირველობაზე ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდნენ თემებისა და სოფლების გუნდები. შეჯიბრის გამარჯვებული გახდა ხობის გუნდი, რომელმაც დაძაბულ ორთაბრძოლაში დაამარცხა ხეთის გუნდი. მესამე ადგილისთვის ერთმანეთს საჯიჯაოსა და შუა ხორგის გუნდები დაუპირისპირდნენ, სადაც გამარჯვება შუა ხორგის გუნდმა მოიპოვა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრიზიორი გუნდები თასებით დაჯილდოვეს.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები კულტურის სახლის ფოიეში წარმოდგენილი ხელთნაკეთი ნიმუშების გამოფენით და დიდ დარბაზში გამართული საზეიმო კონცერტით დასრულდა, სადაც მონაწილეობდნენ ფოლკლორის, ესტრადისა და კლასიკური მუსიკის ადგილობრივი შემსრულებლები. კონცერტზე შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ და დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავამ და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა ქაჯაიამ.

ღონისძიებები საზეიმო ფეიერვერკით დასრულდა.

ხობში „სტუდენტური დღეები—2014 ევროპული მომავლისთვის" გაიმართა

ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში „სტუდენტური დღეები 2014 ევროპული მომავლისთვის" გაიმართა. კონცერტზე მონაწილეობა რვა უმაღლესი სასწავლებლის გუნდმა მიიღო. სტუდენტებმა ფოლკლორული და თანამედროვე ქორეოგრაფიული ნომრები შეასრულეს. სპეციალურმა ჟიურიმ ოთხ ნომინაციაში გამარჯვებული გუნდები გამოავლინა. კონცერტზე, მასპინძლის სტატუსით, ხობის მკვიდრმა მომღერალმა ზაზა ბაჩილავამ პატრიოტული სიმღერა შეასრულა.

პროექტის ორგანიზატორებს ხობში ღონისძიების ჩატარებაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა და ხობის კულტურის ცენტრმა გაუწია დახმარება.

ღონისძიებას მრავალრიცხოვან მაყურებელთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

სტუდენტური დღეები 2014-ის მიზნები და ამოცანებია:

- ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ქართველი ახალგაზრდების ევროპული არჩევანის მხარდაჭერა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა;
- ევროინტეგრაციის შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
- სტუდენტების მეშვეობით ევროპული ფასეულობების გავრცელება სხვა სამიზნე ჯგუფებში;
- სტუდენტების კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობებისადმი ინტერესის ამაღლება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ინტეგრაცია.

„სტუდენტური დღეები 2014" 6 ივნისს, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში დასკვნითი კონცერტით დასრულდება.

1 ივნისი—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების ცენტრისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ხატვის წრის აღსაზრდელებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" თანამშრომლებმა, ხობელ პატარებთან ერთად ასფალტი ათასფრად მოხატეს. მოსწავლეთა სახლის ფოიეში მოეწყო გამოფენა. ნორჩმა ჟურნალისტებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „დაგვიცავით, გაგვიფრთხილდით, გვასწავლეთ ცხოვრება," რომელშიც მონაწილეობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ჯგუფის აღსაზრდელებმა მიიღეს. ანიმაციის განვითარების ფონდმა და ფესტივალ „ექოთოფუზის" ორგანიზატორმა (დირექტორი ზ. დიასამიძე) ხობელი პატარებისთვის კოსტუმირებული მსვლელობა და ანიმაციური ფილმების ჩვენება მოაწყო.

ღონისძიების დასასრულს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატარებს საჩუქრები დაურიგეს.

პირველკლასელთა საყოველთაო ონლაინ რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სამშაბათს, 20 მაისს, დაიწყო პირველკლასელთა საყოველთაო ონლაინ რეგისტრაცია 2014-2015 სასწავლო წლისათვის, რომელიც დასრულდება 20 ივნისს, საღამოს 9 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკის საჩუქარი სკოლას

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ თორსის საჯარო სკოლას 400 წიგნი გადასცა. სკოლის მოსწავლეებმა სტუმრებისთვის ღონისძიება გამართეს.

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა სოფელ თორსის საჯარო სკოლის მოსწავლები ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაპატიჟა.

უორქშოპი ანიმაციაში

2014 წლის 2 ივნისს განათლების ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ანიმაციის განვითარების ფონდის და ანიმაციის ფესტივალ „ექოთოფუზის" წარმომადგენლებმა (გენერალური დირექტორი ზურაბ დიასამიძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ მხატვართა ჯგუფის (მასწავლებელი ი. სიხარულია) მოსწავლეებთან ერთად ჩაატარეს უორქშოპი ანიმაციაში, რაც ითვალისწინებდა ანიმაციური ფილმების ესკიზების შექმნის ხელოვნების დაუფლებას. 14 მოსწავლე დღის მანძილზე აქტიურად იყო ჩაბმული საინტერესო ესკიზების შექმნაში და მომავალი ფილმის იდეის შემუშავებაში.

სამუშაო პროცესს დაესწრო გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფერიდე გოგია.

არსებობს ისეთი სამსახურები, რომლებიც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვენ და მას სახიფათო სამსახურსაც ვუწოდებთ. ამასთან ისინი ადამიანების არასასიამოვნო განცდებთან, მაგრამ საბედნიეროდ, უმეტეს შემთხვევაში, სიხარულთან არის გაიგივებული. სახანძრო სამაშველო სამსახურის მანქანის „სირენის“ ხმა გვამცნიბს, რომ ვიღაცას შველა სჭირდება...

ვინ არიან მაშველები, როგორ პირობებში უწევთ მუშაობა ყოველთვის და როგორ ახერხებენ გაჭირვებაში ჩავარდნილთა შველას, სწორედ ამაზე ვესაუბრე სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსს ბატონ გოჩა არაჩემიას, რომელიც პროფესიით იურისტია, სამართალმცოდნე. ვიდრე მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელი გახდებოდა, სხვადასხვა დროს მუშაობდა შ.ს. რაიონულ განყოფილებაში, შ.ს. სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარ სამმართველოში. იყო შ.ს. სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი, წალენჯიხის შ.ს. რაისამმართველოს კრიმინალური პოლიციის–ლიის ქვეგანყოფილების უფროსი. ბოლოს კი ხობის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი. ასე, რომ საკმაოდ გამოწრთობილი, გამოცდილი და პრინციპული პიროვნებაა.

მყლამ მხალყოფნაში...

–ხობის საგანგებო სიტუაციების სამსახური მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულია და უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების, წარმოშობილი ხანძრების, კატასტროფების, ავარიების, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებების ლიკვიდაციას და სხვა სამაშველო ღონისძიებების ჩატარებას,–მიყვება ბატონი გოჩა.

სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება და რეალიზაცია.

საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა.

ხანძრის ქრობაში და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე (დამხმარე) ყველა (ძალების–ფორმირებების) ოპერატიული მართვის განხორციელება.

ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე.

ხანძრების პროფილაქტიკის ორგანიზება და განხორციელება, მათი ლოკალიზაცია-ლიკვიდაცია და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება.

ხანძრებისა და მათი შედეგების, ასევე პირველი რიგის საავარიო-სამაშველო (ტექნიკური) სამუშაოების ჩატარება და აღრიცხვის ორგანიზება.

სამაშველო ღონისძიებების განხორციელება–ადამიანების სიცოცხლის დაცვის მიზნით მდინარეებზე და წყალსაცავებზე.

წყალქვეშა ტექნიკური და სხვა საძიებო (სამაყვინთო) სამუშაოების ჩატარება.

სამსახურის დანაყოფების მუშაობის ანალიზი, წინადადებებისა და ღონიძიებების მომზადება პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ამაღლებისათვის.

სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში ურთიერთთანამშრომლობა მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებთან და ორგანიზაცია-დაწესებულებებთან და საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახანძრო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ სამსახური გაურემონტებელ, ერთი შეხედვით, არასასიამოვნო შენობაშია განთავსებული, მაინც იგრძნობა წესრიგი.

ეზოში განლაგებული ტექნიკა, რომელიც მუდმივად მზადაა შეტყობინების შესასრულებლად, გამართულ მდგომარეობაშია. ბალანსზე არსებული ოთხი სატრანსპორტო საშუალება: მათ ორასთორმეტ ათასლარიანი სპეციალური ავტრომანქანა, მუნიციპალიეტის ბიუჯეტიდან იქნა შეძენილი. სამსახურში სულ 51 თანამშრომელია, რომელთა შორის ახალბედებიც არიან, მაგრამ ისეთებიც, რომლებიც 20-30 წელია სხვათა შველაში ხედავენ სიამოვნებას, თუმცა არც ახალბედები უდებენ ტოლს უფროსებს. „ვეტერანები“ გურამ ჭაკუა, ველოდ კაკულია, რევაზ ხარებავა, გულად გაბრავა, ბეჟან არჩილია, რომან ფანცულაია, გოჩა ჭანტურია, კობა ცხადაია, ლევან ვადაქარია და მრავალი სხვა. ახალბედებისთვის მისაბაძი ადამიანები არიან. რამაზ ჯიშკარიანი, ფრიდონ ბუსქანძე, რამაზ ცეცხლაძე და სხვები მათი საქმიანობის საიმედო გამგრძელებლები არიან. ქალბატონები მზექალა ალექსანდრია, ლიანა ქირია, ნესტან კვიკვინია, რიმა ბერაია ყველაფერს აკეთებენ ოპერატიულად ჩააბარონ გამოძახება მორიგე ჯგუფებს, რათა უსწრაფესად მოხდეს ინფორმაციაზე რეაგირება...

სამსახურში სამი განყოფილებაა: ხანძარსაწინააღმდეგო, სამაშველო და ადმინისტრირების. მათ სათავეში გამოცდილი, გაწონასწორებული, პრინციპული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალები გოჩა ბუკია, მამუკა ნაჭყებია და გიგლა ბუკია უდგანან. თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის შეთანხმებულ მუშაობაზე ბევრი რამაა დაკავშირებული, და ეს თანამშრომლობას უფრო ეფექტურს ხდის.

ვიდრე ბატონ გოჩას დავემშვიდობებოდი ოფიციალური მასალებიც მომაწოდეს, სადაც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის ივნისამდე მათთან დაფიქსირებულია ხანძრის 51 შემთხვევა, ავტასაგზაო–11, რომლის დროსაც დაიღუპა ერთი, ხოლო 8 ადამიანის გადარჩენა და საავადმყოფოში გადაყვანა შესძლეს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამაშველო დახმარების 11 შემთხვევაა დაფიქსირებული, რომლის დროსაც გადარჩენილი იქნა 17 ადამიანი, მათშორის 13 ბავშვი, ხოლო მუნიციპალიტეტის გარეთ სამაშველო დახმარების 1 შემთხვევა დაფიქსირდა.

მუნიციპალიტეტში განხორციელდა სამძებრო სამუშაოების 7 შემთხვევა, ხოლო მუნიციპალიტეტის გარეთ–4.

მათი წვლილი დიდია ტექნოგენურ (წყალდიდობა, ქარიშხალი) შემთხვევებისას მოსახლეობისთვის დროულ დახმარებაში, სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობისას და ა.შ.

ჩვენდა სასიამოვნოდ, ხობის სახანძრო-სამაშველო სამსახური საიმედოა მეზობელი მუნიციპალიტეტებისთვისაც...

ვიდრე სამსახურის ხელმძღვანელებს დავემშვიდობებოდი, თვალი მოვკარი კარადაზე შემოდებულ ჟურნალ-გაზეთებს, თვალმა უცებ გამოარჩია „ხობის მოამბე“, გულმა მიკარნახა, ხმამაღლა მეთქვა მადლობა სამსახურის ყველა თანამშრომლისთვის იმის გამო, რომ გამოიწერეს ჩვენი გაზეთი, კითხულობენ და მუნიციპალიტეტის ცხოვრებას ეცნობიან.

არ ვიცი საჭირო იყო თუ არა, მაგრამ მაინც ჩავთვალე მიმეთითებინა ტელეფონის ნომრები–0414 22-23-01, 0414 22-22-39, 599-85-61-18, სადაც საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ, თუმცა მკითხველთან ერთად, ჩემი სურვილია, არასდროს დაგვჭირდეს ამ ნომრების აკრეფა.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა.

ბლიც-ინტერვიუ

სახელი: ლაშა.

გვარი: ცატავა.

საქმიანობა: ფრაქცია „ქართული ოცნება- რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?

–ჩემს ცხოვრებაში ბევრი ლამაზი დღე იყო... ის დღეები მენატრება, როცა ჩემი და გვერდით მყავდა... და მაინც, ყველაზე ლამაზი ის დღე იყო, როცა ჩემი დისშვილი ნინო პირველად ავიყვანე ხელში.

რა გენატრებათ?

–ოჯახის წევრები... ჩემი ტრაგედიიდან გამომდინარე, თურმე წარსულში რა ბედნიერი ვყოფილვარ. გვიან მივხვდი ამას და ჩემებთან გატარებული თითოეული ლამაზი დღე მენატრება.

რომელი სურვილი ვერ აისრულეთ?

–ბევრი რამ... მათ შორის ჩემს აფხაზეთში დაბრუნება, მაგრამ მწამს, იქამდე არც ისე შორია...

ყველაზე მეტად რა არ გინდათ?

– მეგობრის, მოკეთის ღალატი.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?

–ეს კითხვა ერთი წლის წინ რომ დაგესვათ, გეტყოდით ჩემი ნინიკოს გარეშე-მეთქი, მაგრამ ცხოვრება ისეთი სიურპრიზებითაა აღსავსე, წარმოუდგენელიც რეალობად იქცევა ხოლმე.

რა არის თქვენი ძლიერი მხარე?

–რწმენა უფლისა და მოყვასისადმი. ადამიანში მხოლოდ კარგის დანახვის სურვილი...

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?

–იმდენად მიყვარს და ვენდობი ადამიანს, ათჯერ მოტყუებული, შეიძლება მეთერთმეტედაც მოვტყუვდე.

რისი გჯერათ?

– მომავლის! მჯერა საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღის.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?

–ღალატს გულში არ გავივლებდი.

ადამიანში რას აფასებთ?

–პატიოსნებას, რენენი ამბობს: პატიოსნება ჩვენი დროის არისტოკრატიზმიაო.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

–ძლიერი მტრის და ვერაგი მეგობრის.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?

–ღმერთო, შენ მიშველე!

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?

–ბრძენკაცს დავესესხები, თუ გინდა გაიმარჯვო, გახსოვდეს მოთმინება, თუ გინდა სწორად ცხოვრება –გახსოვდეს სიკვდილი.

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?

–ალალი სურვილით–ხვებისთვის კარგი მეკეთებინა.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?

–ჩემი ყველა ოპონენტი ღირსეული პიროვნებაა, რომელსაც ზურგს წლები და საქმეები უმშვენებს.

ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?

–ჩემი საქმის პროფესიონალი მინდა ვიყო.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?

–თუნდაც ამ წუთს თქვენთან ურთიერთობით.

როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?

– ეს ჩემი ნატვრაცაა, ღირსეული სახელი მინდა დამრჩეს.

როცა უკან მოიხედავთ, რას ხედავთ?

–ჩემს წარსულზე არ მაქვს საწუწუნო, უკან მოხედვის არ მეშინია.

თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?

–ბევრ რამეს, ყოველდღიურობას უფრო გავულამაზებდი ქალბატონებს, შრომას უფრო დავუფასებდი ექიმს, მასწავლებელს....

რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით?

–ქართველებო, უფრო მეტად გიყვარდეთ სამშობლო, ავიტანოთ და გავიტანოთ ერთმანეთი!

ლელა ალანია,
ჟურნალისტი.

ა უ ქ ც ი ო ნ ი

დანართი №1

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1 დანართის შესაბამისად

№	ქონების დასახელება	სარეგისტრაციო ნომერი	გამოშვების წელი	ფერი	ტიპი	გასაყიდი ფასი	„ბე“ 10%	„ბიჯი“ 10%	ბილეთის ფასი	შემოსულობების სახაზინო კოდი
1	ა/მანქანა „ფორდ მონდეო1,8“	NAA 876	1994	ლურჯი	ჰეტჩბეკი	762	76,20	76,20	20	300403332
2	ა/მანქნა „ოპელ ომეგა“	BBT 268	1995	მწვანე 8/8	სედანი	350	35	35	20	300403332
3	რენო-მეგანი	MCM-514	1997	ლურჯი 7/8		1024	102.40	102.40	20	300403332

დანართი №2

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №2 დანართის შესაბამისად

№	დასახელება	მდებარეობა	რაოდენობა	ერთეულის გასაყიდი ფასი	„ბე“ 10%	„ბიჯი“1-0%	მონაწილის ბილეთის ფასი	შემოსულობების სახაზინო კოდი ბანკში
1	წისქვილი	ქარიატა	1	44	4.40	4.40	20	300403332
2	წისქვილი	ქ. ხობი ბარათაშვილის ქუჩა	1	18.40	1.84	1.84	20	300403332
3	წყლის მრიცხველი	ახ. სოფელი	4	12.95	1.30	1.30	20	300403332
4	წყლის მრიცხველი	საგვიჩიო	3	3.15	0,32	0,32	20	300403332

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2014 წლის 10 ივნისი, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამღდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

სულთათანა

იზოლდა თათარიშვილი-ხუნჯუა

ერთი წელი სრულდება, რაც უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები, ძალიან მწარე და მტანჯველია ის სიცარიელე, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია. განგებამ მხოლოდ 53 წელი გაიმეტა შენთვის, ჩემო შვილო.

გავიდა დრო, ზაფხული მოვიდა. კვლავ დამშვენდა შენი ხელით ნალოლიავები და მოვლილი ეზო-კარი, რომელსაც გამორჩეული ხიბლით ალამაზებდით შენ და რეზო. თქვენ, ხომ საუკეთესო წყვილი იყავით, ამიტომაც შეგნატროდათ ყველა. იყავი გამორჩეული სილამაზის, ძლიერი ადამიანური სულის, უღალატო, კეთილი... „მაგრამ ხანგრძლივ, ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?“ დაგრჩა მრავალი აუხდენელი ოცნება, რომელსაც შენი შვილები ავთო და ნათია უშენოდ ასრულებენ. როგორ სჭირდებათ მათ შენი სითბო, დედობრივი ზრუნვა და ალერსი, რომელსაც ამ ქვეყნად ვერავინ შეცვლის.

ძალიან განიცდიან უშენობას შენი დები: ნოზანა, მაია, მანანა, ძმა ბესიკი. დისშვილები, ძმისშვილები, შენი სანათესაო, მეზობლები როგორი გულსატკენი და თავზარდამცემია მათთვის, როცა შენს ოჯახში მისულთ, შენ ვერ შემოეგებები.

იზო, ყოველ წუთს და წამს დაგეძებ, იქნება სადმე თვალი მოგკრა ავადმყოფობით გატანჯულს, იქნებ სიზმარში მაინც გამომეცხადო.

შვილო, ძალიან ადრე წახვედი ამ ქვეყნიდან, ადრე გარდაცვალება ხომ რჩეულთა ხვედრია და თუ ასეა, მჯერა, რომ სამოთხის პატარა ადგილს მიგიჩენდა უფალი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა.

იცოდე, რომ ჩემს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ გაქრება შენი ხსენება... მეც თან წამიყვანე დედი.. გკოცნი, გკოცნი, გკოცნი.

ზაირა თათარიშვილი.

დედა ნინო ბუკია, მეუღლე ცინარა აბშილავა. შვილები: თეა, ემა, ლაშა ლატარიები; შვილიშვილები: სალომე (ოჯახით) და გოგა ყურაშვილები; ნინიკო, რეზო, ალექსანდრა ჩხეტიები; ირაკლი ლატარია. ძმა მურადი ლატარია ოჯახით იწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზი (კორო) პეტრეს ძე ლატარია

განცხადება

ქ. ხობში გორგასლის №25-ში (მეორე ჭიხუ) იყიდება ორსართულიანი სახლი ხეხილის ბაღით (3000 კვმ.) და სახნავი მიწით (2000 კვ.მ.), გარდა სახლისა, ეზოში დგას დამხმარე ნაგებობები.

ფასი შეთანხმებით.

ტელ: 790 70-61-08; 599 70-69-08

ნანი ქანთარია

მედიცინა

აცრები ბავშვებს სახიფათო დაავადებებისგან იცავს

იმუნიცაზია ყოველწლიურად სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევისგან მილიონობით ბავშვს იცავს. ამჟამად ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველად ხელთ გვაქვს ერთერთი ძირითადი საშუალება–ვაქცინაცია, რომელიც სხვა მეთოდებს შორის უძველესი და სანდოა. ვაქცინაციის წყალობით დამარცხებულია ყვავილი, თითქმის განადგურებულია პოლიომიელიტი, მკვეთრადაა შემცირებული წითელათი და წითურათი ავადობა. აღნიშვნის ღირსია სხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები–შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, დიფტერია, ტეტანუსი, ყივანახველა, ტულარემია, ჯილეხი–აი, არასრული სია დაავადებებისა, რომელთან ბრძოლაშიც გაიმარჯვეს ვაქცინებმა. დაავადებების გამომწვევებთან ბრძოლა ეფექტური აღმოჩნდა მათივე საშუალებით. გამომწვევთა ასეთ უვნებელ „ორეულებს“ ეწოდებათ ვაქცინები.

მსოფლიო იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამის ფარგლებში, 20 წლის განმავლობაში ვაქცინაციით ყოველწლიურად თავიდან აცილებულია ბავშვთა სიკვდილის სულ ცოტა 3 მილიონი შემთხვევა. ამას გარდა, ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვია გადარჩენილი სიბრმავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევები.

აცრების შედეგად: ყვავილი ლიკვიდირებულია 1987 წელს. მანამდე მსოფლიოში ყოველწლიურად კვდებოდა 5 მილიონამდე ადამიანი. წითელას საწინააღმდეგო აცრების შედეგად სიკვდილს გადაურჩა 2 მილიონზე მეტი ბავშვი, ხოლო დაინვალიდებას 350 000 ბავშვი. 2002 წელს ევროპის რეგიონი და მათ შორის საქართველო გამოცხადდა პოლიომიელიტისგან თავისუფალ ზონად. ქვეყანაში ველური პოლიომიელიტის ვირუსით გამოწვეული ბოლო ადგილობრივი შემთხვევა აღრიცხულიქნა 1992 წელს, ხოლო შემოტანილი შემთხვევა 2001 წლის ბოლოს. პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი. სახელმწიფო უზრუნველყოფს 11 ინფექციის-ტუბერკულოზის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბა-ყურას, წითურას, წითელას, ბ. ჰეპატიტის, როტავირუსული ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ საწინააღლდეგო ვაქცინაციას.

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით, საქართველოში: –ბცჟ აცრა ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ კეთდება დაბადებიდან 0-5 დღის განმავლობაში.

–ბ-ჰეპატიტის საწინააღმდეგოდ დაბადებიდან 12 საათის განმავლობაში.

–დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპების წინააღმდეგ კეთდება 2,3,4, თვის ასაკში.

–პოლიომიელიტის წინააღმდეგ 2-3-4-18 თვის, 5 წლის ასაკში. როტავირუსული ინფექციის წინააღმდეგ 2–3 თვის ასაკში.

–წითელა, წითურა, ყბა-ყურას წინააღმდეგ დაბადებიდან 1 წლის და 5 წლის ასაკში.

–დიფტერია-ტეტანუსის წინააღმდეგ 5 წლის ასაკში.

–ტეტანუს–დიფტერიის წინააღმდეგ 14 წლის ასაკში და შემდეგ ყოველ 10 წელიწადში ერთხელ 55 წლის ასაკამდე.

იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია. ამიტომაც აუცილებელია ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი. ბავშვს სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისგან, რომლის წინააღმდეგაც მას აცრები ჩაუტარდა.

ექიმთან ვიზიტის დროს რამოდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება, ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

დაუშვებელია აცრების გადავადება ისეთი ცრუ უკუჩვენებების გამო, როგორიცაა გაციება, ხველა, სურდო, ალერგია, ქრონიკული დაავადებები და სხვა.

თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგ არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი.

იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა დაავადებისა და მისგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან შედარებით, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდაოა. აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციის დროულად ჩატარების შემთხვევაში მცირდება აცრის შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების რისკი.

აცრის შემდეგ 1-3 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურამ შესაძლოა მოიმატოს 38,5 გრადუსამდე, შეინიშნებოდეს ზოგადი აგზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება, შეშუპება და მტკივნეულობა. ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს.

აცრის შემდგომ არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, მშობლებმა აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს. საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული და სერტიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით.

პროგრამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის, რადგან ამ ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელმწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ აცრები იმუნიცზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ერთჯერადი ავტობლოკირებადი შპრიცების საშუალებით ტარდება. ყოველივე ზემოთაღნიშნული, მომსახურების მიწოდების და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, ვაქცინაციის პროცესის ეფექტურობას და მის პრაქტიკულ უსაფრთხოებას განაპირობებს.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.

მოლოცვა

ლუკა ლომჯარიას!

ლუკა, ბაფხულის მოსვლას სიხარულით მოგვლით, შენ და ლიზი ჩამოდიხართ მოსკოვიდან, თანაც დამადგმის დღეების აღნიშვნით გვახარებთ და გვახალისებთ.

დიდი სიყვარულით გილოცავთ დამადგმის დღეს. გაიზარდე და გახდი სახახელო ძართველი.

გვიყვარხარ!

დაე, ლამაზი დღეები გიმრავლოს უფალმა!

ცაცა, გოგიჩო, ნუცა მუკიები.

სიმინდი-ჯანმრთელობა და მედიცინა

სიმინდის ზეთის სასარგებლო თვისებები

მედიცინა დიდი ხანია ებრძვის სიმსივნეს და მის გამომწვევ მიზეზებს. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, სიმინდის ზეთში სხვა სასარგებლო თვისებებთან ერთად, კიბოს საწინააღმდეგო უნიკალური თვისებები აღმოაჩინეს.

ის, რომ სიმინდის ზეთი ჯანმრთელობისთვის ყველაზე მარგებელი ზეთია, დიდი ხანია ცნობილია, თუმცა დროთა განმავლობაში ამ მარცვლეულის ზეთს უფრო მეტი სასარგებლო თვისებები აღმოაჩნდა.

სიმინდის ზეთი მარცვლების გაწურვით მიიღება.

ოქროს პროდუქტი არამხოლოდ საკვებს აგემრიელებს, არამედ ორგანიზმს აახალგაზრდავებს და კვებავს.

არაერთი გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ სიმინდის ზეთს მკურნალობა შეუძლია როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულადაც, ხელს უწყობს თმის, კანის და ფრჩხილების სილამაზის შენარჩუნებას.

რაფინირებულ სიმინდის ზეთს აქვს ნეიტრალური გემო. ამის გამო მას იყენებენ თევზის, ხორცის, ბოსტნეულის და ნებისმიერი სოუსების მოსამზადებლად, ასევე, მას იყენებენ საკვების შესაწვავად და ამატებენ საკონდიტრო ნაწარმის გამოსაცხობად. სიმინდის ზეთი არ ქაფდება, არ ალდება და არ ქმნის კანცეროგენულ ნივთიერებებს–რის გამოც, გამოიყენება დიეტურ და ბავშვთა საკვებში.

რა ვიტამინებს შეიცავს სიმინდის ზეთი და რა სასარგებლო თვისებები გააჩნია მას?

სიმინდის ზეთი მდიდარია ვიტამინით, შეიცავს ვიტამინების ჯგუფს , რამოდენიმე მინერალურ ნივთიერებას, ლეციტინს, ფიტორტეროლს.

100 გრ სიმინდის ზეთი–ეს უფრო მეტია ვიდრე 10 დღის განმავლობაში ვიტამინის მიღება. სწორედ ამიტომაა, რომ რამდენიმე სუფრის კოვზის მიღება საკმარისია გასაჯანსაღებლად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. (რა თქმა უნდა, სხვა საკვებ ნივთიერებებთან ერთად) ყველაზე სასარგებლოდ ითვლება ზეთი, რომელიც მიიღება სიმინდის თესლის დაპრესვით. ზეთში დიდი რაოდენობით ლეციტინის შემცველობა, მას შეუცვლელს ხდის თრომბოზის პროფილაქტიკისას, ასევე ათეროსკლეროზის მკურნალობისას, რომელიც დღესდღეობით ასეთი გავრცელებულია.

ზეთში ვიტამინის შემცველობას შეუძლია ალფა-ტოკოფეროლის ჩართვა, რომელიც ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს წარმოადგენს და უზრუნველყოფს სილამაზის და ახალგაზრდობის შენარჩუნებას.

სიმინდის ზეთს ხელსაყრელი შეთავსება აქვს უჯერ ცხიმმჟავებთან. ეს ეხმარება მას ორგანიზმში ცხიმოვანი ბალანსის დაბალანსებაში. ელასტიურობას მატებს კაპილარებს და სისხლში მავნე ქოლესტერინის შემცველობას ამცირებს. ასევე ეს ზეთი გამოიყენება, თირკმლის ქვის მკურნალობისას და დიაბეტის დროს. სიმინდის ზეთის რეგულარულ მიღებას ტონუსში მოჰყავს ნაღვლის ბუშტის ფუნქციონირება.

სიმინდის ზეთის შემადგენლობაში რეკორდული მაჩვენებელი აქვს ლინოლევის მჟავას, რომელიც სისხლის მოძრაობას არეგულირებს, და აძლიერებს იმუნიტეტს 56%-მდე.

ზეთის შემადგენლობაში მეორე ადგილს იკავებს ოლეინის მჟავა, 49%-მდე.

ცხიმ-არომატული მჟავებს ასევე ეხება ფერულოვის მჟავაც, რომელსაც შეიცავს სიმინდის ზეთი. მას აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები, რის გამოც შეუძლია სიმსივნის წარმოქმნას შეუშალოს ხელი, დაიცვას ორგანიზმი სტრესის დამანგრეველი მოქმედებისგან, შეაჩეროს ლიპიდური პროცესები, შეანელოს ათეროსკლეროზის განვითარება, შეამციროს სიმსივნის ზომა, გააძლიეროს იმუნიტეტი, ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების თვითგანადგურებას ეს ყველაფერი ფიტოსტერინებს შეუძლიათ, რომელსაც შეიცავს სიმინდის ზეთი.

თუ გაწუხებთ ნაღვლის პრობლემები, სიმინდის ზეთი მედიკოსების რჩევით, თურმე მასაც შველის...

ნაღვლის ბუშტის ტონუსის აწევა შეიძლება, დღეში ორჯერ, საკვების მიღებამდე ერთი, ან ნახევარი საათით ადრე თითო სუფრის კოვზი სიმინდის ზეთის მიღებით, ასეთ შემთხვევაში საკვების მიღების შემდეგ ტონუსი ნაღვლის ბუშტზე იწევა და ის ივსება ნაღვლის სითხით.

ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის, ზეთის მიღება ხდება ჭამის დროს დღეში სამჯერ 25 გრ. ოდენობით. შაკიკსა და პოლინოზს ასევე კურნავენ თითო სუფრის კოვზი სიმინდის ზეთის მიღებით.

ვისაც აწუხებს უძილობა, სამკურნალოდ რეკომენდირებულია სხეულზე ზეთის წასმა, და შემდეგ 5-7 წუთის განმავლობაში ფრთხილად ჩამობანა.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.